საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 53 (73)
სამშაბათი, 19 მარტი, 1991 წელი.
ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 20 მარტს 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია მოხდება 20 მარტს 8 საათსა და 30 წუთიდან.

ბატონი ჯეიმს ბეიკერი:

„საქართველოთი მოხიბლული ვარ, თუმც არასოდეს ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში“

ა. წ. 15 მარტს მოსკოვში, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ბატონ მეტლოკის რეზიდენციაში, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ბატონი ჯეიმს ბეიკერი შეხვდა რესპუბლიკების ხელმძღვანელებს და საზოგადოების წარმომადგენლებს. შეხვედრაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა, სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მანუკიანი, საკავშირო დეპუტატები: ბურლაცკი, შატალინი, სობჩაკი, პოპოვი და სხვები. დისკუსია ძირითადად საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეფორმებს შეეხებოდა. შეხვედრაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ წარმოთქვა 10 წუთიანი სიტყვა, სადაც შეეხო საბჭოთა კავშირში შექმნილ ვითარებას, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა პრობლემებს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში არავითარი რეფორმები აღარ მიმდინარეობს, პირიქით, ხდება მობრუნება ტოტალიტარული სახელმწიფოს ძველი პრაქტიკისა და მეთოდებისკენ. რაც გამოიხატება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ჩახშობაში. მან აღნიშნა, რომ დღევანდელი საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობს დასავლეთის მოტყუებას ვითომცდა განახლებული, ე. წ. „სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაციის შექმნით“, რაც სხვა არაფერია, თუ არა ნეოკოლონიალიზმისა და იმპერიული სტრუქტურების შენარჩუნების მორიგი ცდა და ლეგალიზაცია. აბსურდია თავად ტერმინი „სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია“, იგი შეიცავს თავისთავში წინააღმდეგობას და მის შემქმნელთა პოლიტიკურ უწიგნურობაზე მიუთითებს, ვინაიდან ისტორიას არ ახსოვს ფედერაციის კომპონენტებად სუვერენული სახელმწიფოები. სინამდვილეში კი ამ სახელმწიფოებს წართმეული აქვთ სუვერენობის ყველა ატრიბუტები: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და ეკონომიკა, საკუთარი არმია, სავალუტო სისტემა, დიპლომატიური ურთიერთობის უფლება სხვა ქვეყნებთან, გაეროში წარმომადგენლობა, ერთი სიტყვით, ისინი არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს. თუ დასავლეთის ქვეყნებმა არ ირწმუნეს სადამ ჰუსეინის მტკიცება იმის შესახებ, რომ ერაყმა ქუვეითი კი არ დაიპყრო, არამედ აღადგინა ისტორიული სამართლიანობა და შექმნა სახელმწიფოთა ბედნიერი ერთობა ამ აქციით, ასევე არ უნდა ირწმუნონ გორბაჩოვის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ე. წ. საბჭოთა ერები ნებაყოფლობით ერთიანდებიან რაღაც ფედერაციაში. დასავლეთმა არ უნდა დაივიწყოს უახლესი ისტორია, კერძოდ ის, რომ ე. წ. საბჭოთა კავშირი შედგება საბჭოთა ჯარის მიერ ოკუპირებული, ანექსირებული ქვეყნებისაგან, რომლებსაც მან წაართვა დამოუკიდებლობა და ახლა სურს მათთვის ეროვნული თვითმყოფადობის წართმევაც და ე. წ. „საბჭოთა ხალხად“ გამოცხადება, რომელიც ისტორიულად არასოდეს არსებობდა და არც ახლა არსებობს. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ის ქვეყანაა, რომელმაც დედამიწის ზურგზე მოსპო მონობა, დაიცვა პიროვნების უფლებანი და თავისუფლებანი, დღეს კი მას უდიდესი მისია აკისრია — მან უნდა მოსპოს ხალხთა მონობა, უნდა იხსნას დამონებული ერები და ხელი უნდა შეუწყოს მათ განთავისუფლებას ისევე, როგორც ხელი შეუწყო ქუვეითის განთავისუფლებას. თუმც ეს ყოველივე არ ნიშნავს, რომ ეს უნდა განხორციელდეს კვლავ ომის მეშვეობით.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა აგრეთვე, რომ ბედნიერია იმით, რომ აქ, ამავე დარბაზში, 1988 წლის 29 მაისს, უთხრა ყოველივე ეს პრეზიდენტ რეიგანს, რომელმაც ანალოგიური მიღება გამართა და მისგან მოისმინა გარანტია იმისა, რომ ადრე თუ გვიან საბჭოთა კავშირისაგან დაპყრობილი ერებიც განთავისუფლდებიან და რომ ამერიკის წვლილი დიდი იქნება ამ საქმეში.

ბატონმა ბეიკერმა მდუმარებით მოისმინა ეს არგუმენტები და არავითარი საწინააღმდეგო შენიშვნა არ გამოუთქვამს, მხოლოდ დასძინა, რომ მისი აზრით მაინც გარკვეული რეფორმები გატარდა საბჭოთა კავშირში, თორემ ეს შეხვედრაც არ გაიმართებოდაო. შემდეგ მან დაუსვა კითხვა ბატონ ზვიად გამსახურდიას: იქნება თუ არა ნამდვილი რეფორმა, მაგალითად, საბჭოთა კავშირიდან გასვლის კანონის სრულყოფა და მისთვის უფრო სამართლიანი ფორმის მიცემა, რაზედაც ზვიად გამსახურდიამ მიუგო, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაიჯერებს საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეფორმების რეალობას, მით უმეტეს, თუ ასეთი კანონი ოდესმე განხორციელდება პრაქტიკაში რომელიმე ერის მიმართ. სხვა თანადამსწრეებმაც აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირში მდგომარეობა კრიზისულია, რომ სკკპ და პარტაპარატი გადასული არიან შეტევაზე დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ და ცდილობენ დაკარგული ძალაუფლების დაბრუნებას.

ბატონ ჯეიმს ბეიკერსა და ბატონ ზვიად გამსახურდიას შორის გაიმართა ხანმოკლე პირადი საუბარიც. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა გამოთქვა დიდი დაინტერესება საქართველოს პრობლემებით, გამოამჟღავნა დიდი კეთილგანწყობა ჩვენი ქვეყნისადმი. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ და ბატონმა თენგიზ სიგუამ იგი მოიწვიეს საქართველოში, რაზედაც იგი ხალისით დათანხმდა და აღუთქვა მათ, რომ, როგორც კი მიეცემა შესაძლებლობა, ეწვევა საქართველოს. მათ მოიწვიეს საქართველოში აგრეთვე ამერიკის ელჩი ბ-ნი მეტლოკი და მისი მეუღლე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეხვედრა ამერიკის ელჩის რეზიდენციაში არც კი ახსენა ცენტრალურმა ტელევიზიამ, რომელიც დეტალურ ინფორმაციას იძლეოდა ბეიკერის ყოველ ნაბიჯზე იმ დღეებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.
1991. 18 მარტი.

საკუთარ სახლში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის

ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან

საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 16 მარტს

დღეს გვსურს დეტალურად გესაუბროთ ხვალინდელი რეფერენდუმის შესახებ. ეს რეფერენდუმი, როგორც მოგეხსენებათ, ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის პრობლემას ეხება. კანონი საკავშირო რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე შევაჩერეთ, ე. ი. ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენს ტერიტორიაზე ამ რეფერენდუმის ჩატარებას, ჩვენ შევაფასებთ როგორც ანტიკონსტიტუციურ ქმედებას და სისხლის სამართლის დანაშაულს. ამას ვაცხადებთ ყველა იმათ გასაგონად, ვინც ხვალ გეგმავს გარკვეულ ღონისძიებებს აფხაზეთში, ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში და სხვაგან, არად აგდებს ჩვენი პარლამენტის გადაწყვეტილებას ამ რეფერენდუმის კანონის შეჩერების შესახებ და მაინც ცდილობს, გარკვეული ღონისძიებები ჩაატაროს ამ რეფერენდუმის განხორციელებისათვის.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ რეფერენდუმის ჩატარება რასაკვირველია იმითაც არის ყოვლად გაუმართლებელი, რომ თვით საბჭოთა კონსტიტუციის მიერ აფხაზეთი ცნობილია, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი და ეს ნიშნავს საქართველოსთვის კონსტიტუციური ომის გამოცხადებას, მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, რასაც ჩვენ არასგზით არ დავუშვებთ. ამასთან დაკავშირებით მინდა გაგაცნოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც მივიღეთ აფხაზეთიდან, აგრეთვე გაგაცნოთ დოკუმენტი, რომელიც ჩვენმა პრეზიდიუმმა მიიღო აფხაზეთის ტერიტორიაზე ხვალინდელი არჩევნების შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, რეფერენდუმის პარალელურად დანიშნულია არჩევნები ერთი დეპუტატისა, საკავშირო დეპუტატისა აფხაზეთიდან.

პირველ რიგში მსურს გაგაცნოთ მნიშვნელოვანი მიმართვა — განცხადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებისა: ბატონ თემურ ლორთქიფანიძის, ბატონ ნუგზარ მგალობლიშვილის, ბატონ თემურ მჟავიას, ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების, აგრეთვე ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციისა და სოხუმის შრომითი კოლექტივების საბჭოსი:

„მიუხედავად საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებისა, რომ საქართველოში არ უნდა ჩატარდეს ამა წლის 17 მარტს დანიშნული საკავშირო რეფერენდუმი, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი მაინც ტარდება საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნებთან ერთად და ტარდება სარეფერენდუმო და საარჩევნო კანონების, ამ კანონებით გათვალისწინებული პროცედურის სრული უგულებელყოფით. რეფერენდუმს ატარებს სარეფერენდუმო კომისია, რომლის თავმჯდომარეა ცნობილი პარტიული ფუნქციონერი ენვერ კაპბა, ხოლო მისი ჩატარების ძირითადი კოორდინატორები არიან საბჭოთა კავშირის კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაცია, ეგრეთ წოდებულ საკავშირო ცენტრისტულ ბლოკში შემავალი ორგანიზაციები: აფხაზეთის სახალხო ფორუმი, აფხაზეთის ინტერნაციონალისტთა საზოგადოება, აგრეთვე აიდგილარა. ჩვენს მიერ აღრიცხული დარღვევები სარეფერენდუმო კანონებისა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: მაქსიმალურად გაიზარდოს საკავშირო რეფერენდუმში მონაწილე აფხაზეთის ამომრჩეველთა პროცენტი. ამ მიზნით ხელოვნურად მცირდება ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა რიცხვიდან აფხაზეთის იმ რეგიონების მცხოვრებთა ამოღებით, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ საკავშირო რეფერენდუმს. იმავდროულად კი ამომრჩეველთა რიცხვში შეჰყავთ ექვსი ათას რვაასი ჯარისკაცი და სამი ათას რვაას ორმოცდაათი დამსვენებელი, სულ ათი ათას ექვსას ორმოცდაათი კაცი დღევანდელი მონაცემებით. ამასთან არ უთითებენ, რომ ისინი არ არიან აფხაზეთის მცხოვრებნი, გარდა ამისა ჩრდილო კავკასიიდან ორგანიზებულად ჩამოჰყავთ საბჭოთა კავშირის კომპარტიის წევრთა დიდი ჯგუფები რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად და მხარდამჭერთა პროცენტის ხელოვნურად გასაზრდელად.

ამასთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ ჩვენი მონაცემებით ამჟამად აფხაზეთში სამას ოცდათერამეტი ათას ორმოცდაორი ამომრჩეველია. სარეფერენდუმო კანონების უხეშ დარღვევებზე, გარდა ზემოთ ნათქვამისა, მეტყველებენ შემდეგი ფაქტებიც:

1. საარჩევნო უბნები არ შეუქმნიათ ზოგ რაიონში და სხვადასხვა რაიონის დაბებისა და სოფლების ამომრჩევლები მონაწილეობას არ მიიღებენ რეფერენდუმში. ამით ამომრჩეველთა შესაბამის რიცხვს არ ითვალისწინებენ სრული რაოდენობით.
2. ბევრგან საარჩევნო უბნები შეიქმნა აღმასკომების ფალსიფიცირებული დადგენილების საფუძველზე.
3. არ გამოქვეყნებულა საარჩევნო უბნების მისამართები. არც ერთ საარჩევნო უბანში, სადაც ვიყავით, დღემდე არ არის გამოკრული ამომრჩეველთა სიები. ყოველივე ამის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ რეფერენდუმთან ერთად ტარდება საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნები, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ რეფერენდუმისა და არჩევნების ამგვარი ჩატარებისას, მისი ორგანიზატორები მიიღებენ მათ მიერვე წინასწარ დაგეგმილ ფალსიფიცირებულ შედეგს. მოვითხოვთ ამ უკანონობის აღკვეთას, რეფერენდუმისა და არჩევნების შედეგების გაუქმებას, არჩევნების ხელახლა ჩატარებას საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციებისა და უცხოელი მეთვალყურეების თანდასწრებით“. ეს სავსებით კანონიერი მოთხოვნაა, მეგობრებო! მორალური მხარე ამ საკითხისა აგრეთვე სავსებით გარკვეულია. რა უფლება აქვთ დამსვენებლებს, საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლებს განსაზღვრონ, სურს თუ არა აფხაზეთის მოსახლეობას საბჭოთა კავშირის შენარჩუნება, ან რა უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულებს განსაზღვრონ ჩვენი, ასე ვთქვათ, საქართველოს ბედ-იღბალი, გადაწყვიტონ საბჭოთა კავშირში დარჩენის საკითხი.

აი, ყოველივე ეს მიგვითითებს იმაზე, თუ როგორი უსამართლობაც იყო თავად შექმნა ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირისა, იმავე უსამართლო და უკანონო მეთოდებით სურთ მისი შენარჩუნებაც. სავსებით უპრეცედენტო ამბავია, რომ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა, სხვა ერების წარმომადგენლებმა განსაზღვრონ ჩვენი ერის ბედი და მისი მომავალი ყოფნა თუ არყოფნა საბჭოთა კავშირში.

აი, ყოველივე ამის გამო მოგიწოდებთ არა მხოლოდ ქართულ მოსახლეობას, არამედ არაქართველ მოსახლეობას, ბოიკოტი გამოუცხადოთ ხვალინდელ რეფერენდუმს. შეგახსენებთ, რომ არაქართველი მოსახლეობის მომავალი ბედი, მისი ცხოვრების მომავალი პერსპექტივები საქართველოში მთლიანად დამოკიდებული იქნება იმაზე, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ისინი ხვალინდელ რეფერენდუმში და მიიღებენ თუ არა მონაწილეობას მომავალი 31 მარტის რეფერენდუმში, რომელიც ეხება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს.

ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამდენი დარღვევებია არა მხოლოდ სარეფერენდუმო კანონების გამოქვეყნებაში, არამედ, ასე ვთქვათ, საარჩევნო კომისიის მოქმედებაში, ჩვენ, ე. ი. ჩვენი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოვიტანეთ შემდეგი დადგენილება, რომელსაც აგრეთვე გაგაცნობთ:

„საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შესახებ.

საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად 1991 წლის 17 მარტს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნები.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ შემოწმებით დადგინდა, რომ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დაშვებული იყო საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საბჭოთა კავშირის კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევები. მაგალითად, ქალაქ გაგრის ტერიტორიაზე შემოწმებული 44 საარჩევნო უბნიდან 37-ში საუბნო საარჩევნო კომისიების პერსონალურ შემადგენლობაზე არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია.

გუდაუთის რაიონისთვის გათვალისწინებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობაზე 14 ათასზე მეტია გაცემული. მთელ რიგ რაიონებში სრულყოფილად არ არის შედგენილი საარჩევნო სიები და ა. შ. ეს ფაქტები მიუთითებენ, რომ საოლქო-საარჩევნო კომისიამ ვერ შეასრულა საარჩევნო კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობები, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს არჩევნების შედეგების მართლზომიერებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 25 იანვრის დადგენილება საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ.
2. დაისვას საკითხი საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის № 669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში 1991 წლის 17 მარტს დანიშნული არჩევნების სხვა დროისათვის გადატანის შესახებ“.

აი, ეს გადაწყვეტილება გამოვიტანეთ არჩევნებთან დაკავშირებით, ვინაიდან იქმნებოდა აგრეთვე საფრთხე იმისა, რომ პარალელური კენჭისყრა გამოიწვევდა რაიმე გაუგებრობას. ხშირად შეიძლებოდა არჩევნებისთვის მოსულ ადამიანს, გაუთვითცნობიერებელ ადამიანს ხმა მიეცა, ვთქვათ, რეფერენდუმისთვის და სხვ. აი კიდევ ერთ-ერთი მიზეზი. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ძალზე სერიოზული დარღვევები აქვს ამ კომისიას და ამიტომ იგი გავაუქმეთ.

ბოროტების იმპერიის დამცველები

ის, რაც 17 მარტს აფხაზეთში მოხდა, სცილდება ყოველგვარ საზღვარს. ძნელია, შეფასება მისცე „საბჭოთა აფხაზეთის“ პატრიოტების მოქმედებას, მათ მონაწილეობას 17 მარტის რეფერენდუმში. ეტყობა, სსრკ პრეზიდენტის ტელევიზიით გამოსვლამ საბოლოოდ აურია გული საბჭოთა იმპერიის ერთგულ, კრემლის მიერ მწარედ (ღმერთმა ქნას, არა საბოლოოდ) მოტყუებულ აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილს, რომელმაც დაკარგა რეალობის გრძნობა და რომელიც იმდენად მონდომებული მონაწილეობდა რეფერენდუმში, რომ საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებელი აქტი ერთდროულად სასაცილოდ, სატირლად და უფრო მეტად საქილიკოდ იქცა. ჯერ საბოლოო შედეგები არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ ცალსახად შეიძლება ითქვას; საქმე გვაქვს არნახულ ფალსიფიკაციასთან.

როგორც იცით, აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ და არაქართული მოსახლეობის ნაწილმაც, როგორც მთელმა საქართველომ არ მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში. სამაგიეროდ, აფხაზი „პატრიოტების“ ხმები რამდენჯერმე გაიზარდა. ეტყობა, ერთი კაცის ხმა ზოგჯერ ორად და ზოგჯერ ათადაც ჩათვალეს. მართალია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა გაგრაში ჩადენილი დარღვევებისათვის თავისივე შექმნილი აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისია, მაგრამ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვ. არძინბას გადაწყვეტილებით (?!) ეს უგულებელყოფილ იქნა. უკანონო, ფაქტობრივად გაუქმებულმა კომისიამ 17 მარტს უნაკლო მუშაობა გაშალა, რაც ძირითადად იმით გამოიხატებოდა, რომ ერთი და იგივე პირები მანქანებით დაჰყავდათ სხვადასხვა უბნებში. ასე რომ, ერთ კაცს 10-ჯერ და ზოგჯერ მეტჯერაც შეეძლო მიეცა ხმა. ამის საშუალებას იძლეოდა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ე. კაპბას მიერ 17(!) მარტს გამოცემული მეტად ორიგინალური, იურიდიულად სრულიად აბსურდული დადგენილება, რომლის ფოტოპირსაც აქვე გთავაზობთ.

ზღაპარია და რეალურად სავსებით შეუძლებელი იმის გაკეთება, რასაც კაპბა „ოდნავ შეეხო“ — ვითომ საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებს სხვა უბნებიდან მოსული ხალხი უნდა აღერიცხათ და მათ უბნებში შეეტყობინებინათ, რომ ერთსა და იგივე პირს არ შეეძლებოდა ხმის სხვადასხვა ადგილზე მიცემა. ეს, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად შეუძლებელია და არც არავის უცდია ამის გაკეთება. სამაგიეროდ, ერთმა პიროვნებამ შემოწმების მიზნით შვიდ საარჩევნო უბანში მისცა ხმა, სრულიად დაუბრკოლებლად. ამის დამამტკიცებელი საბუთია თვით ამ ადამიანის განცხადება და ამ უბნებში დატოვებული ამ პიროვნების ხელმოწერები და მისამართი.

მოკლედ, წარმოუდგენელი რამ ხდებოდა 17 მარტს აფხაზეთში. სხვას ალბათ არც უნდა ველოდეთ, როცა საბჭოთა რეფერენდუმზეა საუბარი. დაწვრილებით იმის შესახებ, თუ რა დარღვევებს ჰქონდა ადგილი 17 მარტის რეფერენდუმის დროს აფხაზეთში, გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ვახტანგ ხმალაძე:**

17 მარტს აფხაზეთში სსრკ სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დანიშნა სსრკ სახალხო დეპუტატის არჩევნები სოხუმის № 669 ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად. ამავე დღეს, როგორც მოგეხსენებათ, დანიშნული იყო საკავშირო რეფერენდუმის თაობაზე კენჭისყრაც. სახალხო დეპუტატთა არჩევნების ჩასატარებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამა წლის იანვარში შექმნა საოლქო საარჩევნო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა ენვერ კაპბა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით საქართველოში არ უნდა ჩატარებულიყო საკავშირო რეფერენდუმი, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ ა. წ. 28 თებერვალს დაადგინა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე 17 მარტს მოეწყობოდა საკავშირო რეფერენდუმი. ამავე დადგენილების თანახმად, ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მოვალეობის შესრულება დაეკისრა სსრკ სახალხო დეპუტატის არჩევნების № 669 საოლქო საარჩევნო კომისიას. მასვე დაევალა საარჩევნო უბნების შექმნა გალისა და ოჩამჩირის რაიონებში. აქვე შევნიშნავ, რომ უკანასკნელი წარმოადგენს სახალხო დეპუტატთა არჩევნების (26-ე მუხლი) და რეფერენდუმის შესახებ სსრკ კანონების დარღვევას, რომელთა თანახმადაც ეს არის ადგილობრივი საბჭოების (ან მათი პრეზიდიუმების) პრეროგატივა. ფუნქციების ასეთმა აღრევამ გამოიწვია საუბნო საარჩევნო კომისიების დაგვიანებით შექმნა, რაც აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოიყენა გალის რაიონსა და ოჩამჩირის რაიონის ნაწილში (6 სასოფლო საბჭო) საარჩევნო უბნების შექმნაზე უარის თქმის მიზეზად.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნული ფაქტი გამოიყენა აფხაზეთის ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან აღნიშნული რაიონების ამომრჩევლების გამოსაკლებად, რითაც ხელოვნურად შეამცირა (დაახლოებით 60500-ით) ამომრჩეველთა რიცხვი. გასაკვირი არ არის, რომ ასე მოხდა. ეს ამომრჩევლები ძირითადად ხომ ქართველები არიან! ასევე რამდენიმე ათასი ამომრჩეველი არ შეიყვანეს ქ. სოხუმის ამომრჩეველთა სიებში, რაც გამოიწვია იმან, რომ საარჩევნო უბნების საზღვრები კანონის დარღვევით გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ 14 მარტს. ეს საზღვრები არ ემთხვეოდა საარჩევნო უბნების ადრინდელ საზღვრებს. დრო ძალიან ცოტა იყო დარჩენილი და საარჩევნო კომისიებმა ვერ შეძლეს შესწორებების შეტანა ამომრჩეველთა სიებში. აქვე შევნიშნავ, რომ საარჩევნო უბნებში გამოიყენებოდა 1989 და 1990 წლის გაზაფხულზე შედგენილი ამომრჩეველთა სიები, რის გამოც მათში აღმოჩნდნენ „მკვდარი სულები“.

აფხაზეთის სხვა რაიონებში ერთი და იმავე საუბნო საარჩევნო კომისიებს დაევალათ რეფერენდუმის ჩატარებაც. თვით ეს კომისიებიც კი კანონის დარღვევით იყო შექმნილი. ისინი შექმნეს აღმასკომებმა და არა საბჭოებმა ან მათმა პრეზიდიუმებმა, როგორც ეს არის გათვალისწინებული კანონით, და გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს აღმასკომების სხდომათა ოქმები ამ კომისიების შექმნის თაობაზე. მაგალითად, ქალაქ გაგრის ფაქტობრივად მოქმედი 44 საუბნო საარჩევნო კომისიიდან არსებობს აღმასკომის დადგენილება მხოლოდ 7 კომისიის თაობაზე.

მთელი რიგი დარღვევები ჰქონდათ საუბნო საარჩევნო კომისიებს. კერძოდ, საარჩევნო უბნებში ან სულ არ იყო გამოკრული ამომრჩეველთა სიები, ან გამოიკრა უშუალოდ არჩევნების წინ. რეფერენდუმის დღეს კომისიათა ნაწილმა მუშაობა ისე დაიწყო, რომ ქვორუმი არ იყო. თვით კენჭისყრის დროსაც არ იყო კომისიებში ქვორუმი, ამასთანავე კენჭისყრის მთელი დროის მანძილზე კომისიების მუშაობაში და შედეგების შეჯამებაშიც კი მონაწილეობდნენ გარეშე პირები. ზოგიერთმა საარჩევნო კომისიამ აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნებართვით ხმის მიცემა ნაცვლად საღამოს 8 საათისა, დაამთავრა ღამის 10 საათზე, რაც კანონის უხეში დარღვევაა, ვინაიდან კანონით ვადის გაგრძელების უფლება არავის აქვს. აქვე მინდა მივაქციო ყურადღება ყველაზე მნიშვნელოვან დარღვევას, რამაც საშუალება მისცა საარჩევნო კომისიებს, მასობრივად გაეყალბებინათ კენჭისყრის შედეგები. ეს გახლავთ რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ე. კაპბას უთარიღო, პირადი წერილობითი განკარგულება, რომელიც საარჩევნო უბნებს 17 მარტს დღის პირველ ნახევარში დაურიგდათ და რომლის თანახმადაც ყველა ამომრჩეველს შეეძლო ხმა მიეცა ნებისმიერ საარჩევნო უბანში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ხმის მიცემის უფლების მოწმობის გარეშე. მართალია იქვე ეწერა, რომ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა ამის შესახებ უნდა შეატყობინონ იმ კომისიებს, სადაც ეს ამომრჩევლები ძირითად სიებში იყვნენ შეყვანილი (ვითომდა სიიდან ამოსაღებად), მაგრამ ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და როგორც უბნებზე მყოფ მეთვალყურეთა განცხადებიდან ჩანს, ასეთი შეტყობინების არც ერთი მცდელობაც კი არ ყოფილა. ეს განკარგულება საარჩევნო კომისიებმა და ამომრჩეველთა ორგანიზებულმა ჯგუფებმა კარგად გამოიყენეს. ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომ ამომრჩეველთა ერთმა და იმავე ჯგუფებმა ხმა მისცეს რამდენიმე სხვადასხვა უბანში.

დარღვევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მასალები გადაეცათ რესპუბლიკის პროკურატურას და შესაბამის დასკვნას სამართალდამცავი ორგანოები გამოიტანენ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტი.
სოხუმი-თბილისი.

КАК ГОЛОСОВАТЬ ПРИЕЗЖЕМУ

Вдали от дома по разным причинам окажутся в день референдума СССР многие граждане. Как им принять участие во всенародном голосовании! Корреспондент «Известий» попросил ответить на этот вопрос заместителя заведующего секретариатом Центральной комиссии референдума СССР В. Лашкова.

— Если гражданин, желающий принять участие в референдуме, оказался 17 марта не там, где он проживает постоянно, где прописан, а, скажем, в командировке, в другом городе, и если он имеет на руках удостоверение на право голосования, то он может прийти на тот избирательный участок, на территории которого он находится в день проведения референдума, предъявить удостоверение на право голосования, и его включат в дополнительный список голосующих. Такой порядок в соответствии с Законом о выборах народных депутатов СССР действует и при проведении референдума. Может оказаться так, что у гражданина не будет этого удостоверения на право голосования — не смог, не успел получить или потерял, — то тогда ему надо прийти в участковую комиссию, заявить председателю, заместителю или секретарю о своем желании проголосовать. Подать заявление можно даже в письменном виде. И на основании этого заявления участковая комиссия по проведению референдума принимает решение о включении его в дополнительный список для голосования.

მკითხველის წინაშეა 16 მარტის „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული განმარტება და ე. კაპბას განკარგულება. კომენტარი თქვენ თვითონ გააკეთეთ.



Участковым избирательным комиссиям
по проведению выборов народного депутата
СССР от 669 избирательного территориаль-
ного округа, референдума СССР 17 марта
1991 года.

Центральная избирательная республиканская комиссия Абхазской АССР по выборам народного депутата СССР и референдуму СССР разъясняет что в случаях, когда гражданин обращается в избирательный участок, где не состоит в списке избирателей, а также имеющий право принимать участие в референдуме, с просьбой допустить его к голосованию, то его просьбу следует удовлетворить. При этом граждане, принявшие участие в голосовании не на участке, где они состоят в основном списке, по уведомлению председателя избирательной комиссии, в которую обратился гражданин, исключаются из основного списка с соответствующей пометкой в графе "Примечание" и включаются в дополнительный список по месту голосования. Аналогичное уведомление должно следовать и в Центральную республиканскую комиссию Абхазской АССР по выборам народного депутата СССР и референдуму СССР.

Председатель окружной избирательной
комиссии [illegible] выборам народного депутата СССР
по 66[illegible] территориальному округу и
Цент[illegible]республиканской комиссии Абхаз-
ской [illegible] по проведению референдума СССР.

Э. КАПБА

შიდა ქართლი

ამაღამ, მგონი, იქნება სროლა

გორის რაიონის სოფელ ნიქოზის შესახებ ხშირად იუწყებოდა 20-იანი წლების ქართული პრესა. შეესეოდნენ თუ არა ოსი ავაზაკები ლიახვის მარჯვენა ნაპირის სოფლებს, ნიქოზს უნდა დასცემოდნენ უპირველესად.

ბევრი ყაჩაღი და კაცისმკვლელი ახსოვს ამ მხარეს, სალა-ოსი, კანი, ბისტი, ხარებოვი და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ.

შემდეგ ეგ იყო, სამაჩაბლოდან დაფრენილი ჩვენი ხალხის მოძულენი ბოლშევიკებს, წითელ არმიას შემოჰყვნენ ისევ უკან და ქართველთა თავზე კვლავ ცოდვის კალო გამართეს. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კი ერთგული სამსახური იმით დააფასა, რომ ამ ბოგანო ხალხს საჩუქრად ავტონომიური ოლქი მიართვა.

გავიდა სამოცდაათი წელი და ნიქოზისა და ამ კუთხის სხვა სოფლების შესახებ კვლავ აუწყეს ქვეყანას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და ისევ ოსები, ისევ ის ავი ზრახვები, ისევ ლაგამწყვეტილი ტერორისტები.

პატრონებად და წამქეზებლებად დღესაც კომუნისტები ჰყავთ, მაგრამ რა შედარებაა ძველ მფარველებთან! ექსტრემისტებს იმპერიის კალთა აფარიათ, არ აკლიათ კრემლის ლოცვა-კურთხევა და საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მზრუნველობა და მხარდაჭერა, შენ მხოლოდ ინატრე: იარაღი გინდა? ა, ბატონო! ტყვია-წამალი შემოგაკლდა? წამლად დაგედე! სარაკეტო დანადგარები გესიზმრება? ისე აგიხდა ყველაფერი, აჰა, და გამოიყენე, მიზანში ურტყი იმ ხალხს, კომუნიზმის სამშენებლო მოედნიდან რომ გაგვექცა, მიგვატოვა და ახლა სულაც საბჭოთა კავშირიდან გასვლას ლამობს, თანაც მარტო კი არა, სხვებიც აიყოლია.

აი, რატომ გვეომებიან საბჭოური იმპერიული ძალები ფარულად თუ აშკარად, ნებადართული თუ ნებადაურთველი მეთოდებით, ამასთან, — ოსი ექსტრემისტების ხელით.

ამ დღეებში ფრონტის ხაზი (ამ სიტყვებს შეგნებულად არ ვსვამ ბრჭყალებში) გაფართოვდა და გენერალ ცაგოლოვის სნაიპერების ტყვიებმა ნიქოზის შემოგარენშიც შემოაღწიეს.

აი რას გვიამბობს ამ სოფლის მკვიდრი, კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი გია კობერიძე:

— თუმცა უკანასკნელი თვეების მანძილზე სიტუაცია ფეთქებადი იყო, რაიმე სერიოზულ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, 15 მარტს კი, მოსაღამოვდა თუ არა, ცხინვლის გარეუბნებიდან ინტენსიური სროლა ატყდა. ისროდნენ ცხრასართულიანი სახლებიდან და რკინა-ბეტონის ქარხნიდან. სოფლის მოსახლეობამ შეშინებულმა თავის სახლებს მიაშურა, მილიციის პატრულმა და სანადირო თოფებით შეიარაღებულმა რამდენიმე ახალგაზრდამ კი თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს.

სროლა გათენებამდე არ შეწყდარა. ტერორისტები ისროდნენ ნაირნაირი საბრძოლო იარაღით, მათ შორის, სარაკეტო დანადგარებიდანაც. ერთი რაკეტა სოფლის ცენტრში, ეკლესიასთან, კაკლის ხეს მოხვდა და შუაზე გააპო.

გუშინ ნიქოზში ავედი და თავად ვნახე ის კაკლის ხე. საცოდავი სანახავი იყო, მაგრამ საცოდაობა მაშინ გენახათ, რაკეტა რომ ხეს აცდენოდა, მაშინ იგი ოთარ მჭედლიძის საცხოვრებელ სახლს დაანგრევდა. სახლში კი მჭედლიძეების ოთხ მცირეწლოვან ბავშვს ეძინა.

ღმერთი ჩვენთანაა!

— იმ ღამით, ჩემი ორივე ბიჭი სოფლის შემოსასვლელს იცავდა, — მითხრა ქალბატონმა ლეილა მაზმიშვილმა,—მოსახლეობა ერთ მუჭად შევიკარით, ზოგიერთებმა ფიწლები და ნაჯახებიც კი მოიმარჯვეს, მაგრამ აღარ დაგვჭირდა. ჯერ ერთი, ბანდიტების ბრბომ ვერ გაბედა სოფელზე აშკარა თავდასხმა, მეორეც, გორიდან მილიციის ოპერატიული ჯგუფი ამოვიდა... ქართულ მილიციასთან „ხუმრობა" კი ოს ბანდიტებს ცუდად აქვთ დაცდილი.

მილიცია გუშინაც აქ იყო. გორის შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილის მილიციის მაიორ მერაბ დარბაიძის ამ მხარეში ყოველი გამოჩენა სიმშვიდეს, საკუთარ ძალებში რწმენას ჰბადებს ლიახვის ხეობის სოფლებში.

მერაბმა იმ რაკეტის მოზრდილი ნამსხვრევი მაჩვენა, კაკლის ხე რომ შუაზე გაჩეხა. ყოველ შემთხვევაში, ქარხნული წესით დამზადებულ რაკეტაზე ამოტვიფრული ციფრები და ასოები ბლოკნოტში მოვინიშნე: „ТДГМТ, 368-78-68 МВ".

საქმეში ჩახედულმა ერთმა სპეციალისტმა მითხრა, ამ სისტემის რაკეტები სამხედრო ვერტმფრენების საომარ აღჭურვილობას შეადგენსო.

რა თქმა უნდა! ამ სოფელში ხომ სავერტმფრენო პოლკია დისლოცირებული, რომლის ოფიცრები და ჯარისკაცები არც ადრე გამოირჩეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისადმი კეთილგანწყობით, მეტადრე — ახლა.

სამხედრო მოსამსახურეები ცხოვრობენ ცხინვალში, მუშაობენ — აქ, მათ შორის ბევრი ოსი სამხედრო მოსამსახურე. ცხინვალელი ბანდიტები ამ პოლკის ლოთქაფუა მეთაურების სრული მხარდაჭერით სარგებლობენ, მეტიც, მომსახურებითაც.

— ვერტმფრენი სოფლის თავზე გამოჩნდება, დაბალ სიმაღლეზე დაფრინავს, სოფლელების თავშეყრის ადგილებს დასტრიალებს, შემდეგ ბრუნდება ბაზაში. ეს უკვე სიგნალია. ცხინვალის რკინა-ბეტონის ქარხანაში დაბანაკებულმა ოსმა სნაიპერებმა იციან, საით მიმართონ თავიანთი შაშხანების ოპტიკური სამიზნეები.

— მეხუთე დღეა გრძელდება ცხინვალელი ექსტრემისტებისა და სამხედრო მოსამსახურეების ეს საბრძოლო „თანამშრომლობა". გუშინწინ კი ერთი ლეიტენანტი გამოგვეცხადა და გაგვაფრთხილა — ოსები რომ სროლას დაიწყებენ, თქვენ არ უპასუხოთ, თორემ შავ დღეს დაგაყრითო, — მითხრა ირაკლი ლომსაძემ.

სამხედროების გაფრთხილება ლიტონი მუქარა არ გეგონოთ, შარშან ზაფხულში მთვრალმა ჯარისკაცებმა სამუშაოდან შინ მომავალი ტრაქტორისტი ავტომატით დაჭრეს, შემდეგ კი უმოწყალოდ ცემეს, — ბუზიც არავის აუფრენია მათთვის.

შემოდგომაზე, ამჯერად მთვრალმა ოფიცრებმა ავტომატის ჯერით გზად მიმავალი „ჟიგული" დაცხრილეს, სასწაულით გადარჩა შიგ მსხდომი სამი ახალგაზრდა, — უბოდიშოდ ხმაც არავის გაუცია მათთვის, თუმცა, ვითომ საქმეს სამხედრო პროკურატურა იძიებდა...

გაზაფხულია ნიქოზში, ჩვენი მღელვარების გაზაფხული. თოვლი დნება ფერდობებზე, იღვიძებს ბუნება, ბაღები იხსნება, ვენახები ისხვლება, აგერ, გოგო-ბიჭები სკოლიდან ბრუნდებიან და გზადაგზა იებსა და ყოჩივარდებს ბლუჯ-ბლუჯა წყვეტენ.

სოფლის ბედზე, ოჯახზე, შვილებსა და შვილიშვილებზე დაფიქრებული პაპა სარდიონი ხელს მიიჩრდილებს და მზერას ნიქოზის თავზე ავბედითად მოზუზუნე ვერტმფრენს მიაპყრობს.

— ამაღამ, მგონი, იქნება სროლა.

ვაჟა გურჩიანი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეც. კორესპონდენტი

ვითარება ცხინვალში

17 მარტს ქალაქ ცხინვალსა და სამაჩაბლოს იმ სოფლებში, სადაც ოსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს, გაიმართა სსრ კავშირის რეფერენდუმი. აქ წინასწარ დაყარეს პროვოკაციული ხმები, თითქოს ქართველი მოსახლეობა და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება შეეცდებოდა რეფერენდუმისათვის ხელის შეშლას. სინამდვილეში არავითარი ხელისშეშლის შემთხვევა არ ყოფილა, ოღონდ ქართველმა მოსახლეობამ არ მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში. საღამოს 8 საათიდან, როცა ცხინვალსა და ოსურ სოფლებში დამთავრდა რეფერენდუმი, ოსმა ექსტრემისტებმა რაკეტები და ყუმბარები დაუშინეს ცხინვალის შესასვლელთან განლაგებულ ქართული მილიციის საგუშაგოებს. ბანდიტებმა ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზსა და ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენს. თავდასხმა დილამდე გრძელდებოდა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. იმავე ღამეს ქალაქ ცხინვალში დაწვეს ქართველების ორი საცხოვრებელი სახლი.

18 მარტს დილით სულისშემძვრელი მკვლელობა ჩაიდინეს ოსმა ბანდიტებმა. ხეით-ერედვის სათადარიგო გზაზე სოფელ თამარაშენიდან მომავალ ადგილობრივ მკვიდრებს მერაბ მინდიაშვილს, ვახტანგ ჩლბაქიძეს, ზვიად ხაპრელსა და ნუგზარ კასრაძეს თავს დაესხნენ ჩასაფრებული ოსი ექსტრემისტები, რომლებმაც დაჭრეს ისინი, შემდეგ კი ხეებზე მიაბეს, გადაასხეს ბენზინი და ცოცხლად დაწვეს ოთხივე ახალგაზრდა.

საქართველოს რესპუბლიკის შსს პრესცენტრი,
საქინფორმი.

ფოტორეპორტაჟი





„რეფერენდუმი" ცხინვალში, ანუ რა აღბეჭდა იქ „რეიტერის" რეპორტიორის ფოტოკამერამ



ძნელი სათქმელია, რის ნახვა უნდოდა ცხინვალში მსოფლიოს უდიდესი საინფორმაციო სააგენტოს „რეიტერის" მოსკოვის ბიუროს ფოტოკორესპონდენტს ვიქტორ კოროტაევს, მაგრამ როცა იგი საარმიო ვერტმფრინავის მეშვეობით დაესწრო ეგრეთ წოდებულ „რეფერენდუმს" საგანგებო ვითარების რაიონში და შემდეგ თბილისს დაბრუნდა, რათა ლონდონში გადაეცა ფოტოსურათები, ვერ იყო მაინცდამაინც კარგ გუნებაზე:

— ხმის მიცემა ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და შეიარაღებული მედესანტეების თანხლებით სულაც არ არის აზრის გამოხატვის დემოკრატიული ფორმა. „ორგანიზებულად" მიმდინარეობდა საქმე ჯარის ნაწილებში. მაგრამ რამდენად უფლებამოსილი იქნება იქ გადაწყდეს საკითხი მკვიდრი მოსახლეობის მაგივრად? იცით, არ მინდა პოლიტიკაში გავერიო, ეს ჩემი საქმე არ არის, სჯობს, ნახოთ, რის გადაღება შევძელი ცხინვალში...



და მეც ვიფიქრე, იქნებ, მართლაც, არ ღირდეს ლონდონში საქინფორმის არხებით გადაცემული ფოტოსურათების დაწვრილებითი კომენტარი. აი ისინიც: „რეფერენდუმზე — ჯავშანტრანსპორტიორების თანხლებით; ცხინვალი: ბარიკადების ორივე მხარეს.... „რეფერენდუმზე — ნაბიჯით იარ!; ბელადის ფხიზელი თვალი; ხმის მიცემის უბანი: შესვლა შეიძლება მხოლოდ მედესანტეთა თანხლებით.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პოზიცია

შეწყდეს ათეისტური აგრესია

ლენინიზმის აპოლოგეტებმა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაშიც კი შანთით ამოსაძირკვად გაიმეტეს ქრისტიანული რელიგია. რა მზაკვრობას აღარ მიმართავდნენ ისინი სამოცდაათი წლის მანძილზე, რომ ღვთისმორწმუნე ქართველისთვის გაუვალი ეკალ-ბარდებით მოეფინათ ტაძრისკენ სავალი გზა.

საბედნიეროდ, ჩვენი ხალხის საუკუნოვანი ქრისტიანული ზნეობის წყალობით, ერის ცნობიერებაში არასოდეს მოშლილა სწრაფვა სულიერი განწმენდისაკენ.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს გარშემო ჯერ კიდევ უამრავია ძე ცდომილი, რომელიც აგრესიული ათეისტური პოლიტიკის უნებლიე მსხვერპლი გახდა და ეკლესიის გზაც მიივიწყა. ვაი, რომ მათ რიცხვს დღესაც შეგნებულად ამრავლებენ შემორჩენილი ათეისტური სტრუქტურები.

კომუნისტური რეჟიმის მიერ თავსმოხვეულ ანტირელიგიურ ისტერიაში და ქრისტიანული ტრადიციების გაყალბებაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ე. წ. „ქორწინების სახლებმა", „რიტუალების სასახლეებმა", „ბედნიერების კოშკებმა" და ა. შ. ოღონდაც ახალგაზრდებისთვის ქრისტიანული წესით ჯვრისწერის საშუალება არ მიეცათ და ასეთი სურვილიც მოესპოთ, ხელისუფალნი ხალხის კუთვნილ მილიონებს არ იშურებდნენ, რომ აეგოთ და მდიდრულად მოერთოთ (ხელიც მოეთბოთ) პროპაგანდისტული ცენტრები, სადაც კონვეირული წესით დაიშტამპებოდა კომკავშირული ქორწინებით „გაბედნიერებული" წყვილები.

რამდენი თაობაა ქართული ოჯახებისა ამგვარად შექმნილი? რამდენი ახალგაზრდა შეიტყუეს ქორწინების ინდუსტრიის ბუნაგებში, ღვთის წინაშე ცოდვილთა ტვირთი აკისრებინეს და ნაცვლად ქრისტესმიერი დალოცვისა ცხოვრების გზაზე ვეტერან კომკავშირელთა ხმით დაადევნეს — „გისურვებთ მტკიცე სოციალისტური ოჯახის შექმნასო".

საუკუნეების მანძილზე საქართველოში ეკლესია და მხოლოდ ეკლესია იყო მიჯნურთა გაცხადებული სურვილისათვის ლოცვა-კურთხევის აღმავლენელი. დღეს ამ ფუნქციის დამჩემებელი ათეისტები „ქორწინების კერების" არსებობის აუცილებლობას ასაბუთებენ ქორწინების მოწმობის გაცემის საჭიროებით. უსუსური არგუმენტია. არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ეკლესიაში ჯვრისწერის ცერემონიალის დასრულებისთანავე, იქვე პრეფექტისგან შესაბამისი რწმუნებით აღჭურვილმა პირმა გასცეს ოფიციალური მოწმობა.

თუკი ხანგრძლივმა ათეისტურმა აგრესიამ ვინმეს ისე დაუბნელა გონება, რომ მის სულიერ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ვერც მართლმადიდებლური, ვერც კათოლიკური, ვერც გრიგორიანული, ვერც ბაპტისტურ-ადვენტისტური ეკლესიები, მაშინ მობრძანდეს იგი პრეფექტურაში ან მმაჩის ბიუროში და იქ, სადაც მოწყობილ კაბინეტში დაუდასტუროს თავის გულის სწორს ერთგულება. საკუთარი ავტოგრაფის უკვდავსაყოფად კი პომპეზურ ატმოსფეროსა და მდიდრულ ინტერიერს ეროვნული სახსრების ხარჯზე, ნუღარ დავპირდებით ასეთ პრინციპულ ათეისტს.

ველიკორუსული ათეისტური აზროვნების პირმშო „დომ ბრაკოსოჩეტანია" ძალისმიერი მეთოდებით ინერგებოდა ქართულ ცნობიერებაში და დროა ისიც კომუნისტური წარსულის კუთვნილებად ვაქციოთ.

მკრეხელობაა ღვთისა და ერის წინაშე, რომ დღესაც, ოცნების ახდენის — თავისუფლების აისის ჟამსაც, უდარდელად ვუცქიროთ ათეისტურ აგრესიას.

მუხრან მაჭავარიანი,
ამირან კალაძე,
ელიზბარ ჯაველიძე.

პრესა და კანონი

ხვალინდელი დღის მოთხოვნილებით

ცნობილი ჭეშმარიტებაა თუ რა დიდი წვლილის შეტანა შეუძლია მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს დემოკრატიული სისტემის შექმნასა და განმტკიცებაში. ამიტომაც იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „მამა-დამაარსებლებმა" 1791 წელს კონსტიტუციის პირველივე შესწორებით მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპი განსაზღვრეს — „კონგრესმა არ უნდა გამოსცეს კანონები, რომელიც შეზღუდავს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას" — ნათქვამია შესწორებაში. დღესაც, შესწორების მიღებიდან ორი საუკუნის შემდეგ, არ დაუკარგავს მას მნიშვნელობა; აი რა აზრისაა ამის თაობაზე ცნობილი ამერიკელი იურისტი, ჯ. ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ჯ. ბერი — „ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება, ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს პრესის სამართლებრივი კონტროლის თაობაზე ნებისმიერი დისკუსიის შემთხვევაში".

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე სპეციალური კანონის მიღება იმანენტურად გულისხმობს მოქალაქეთა უფლებას ინფორმაციის მიღებაზე. ამიტომ სანამ უშუალოდ ფართო საზოგადოებრიობის განსახილველად გამოტანილ კანონ-პროექტს შევეხებოდეთ, აუცილებელია თვითონ პრობლემის არსში ზოგადად გარკვევა, აუცილებელია ამ სფეროში დემოკრატიულ სახელმწიფოთა გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლა თუ არა (რაც ურიგო არ იქნებოდა) გაცნობა მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი 70-წლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი შეიძლება ზედემოკრატიულ დოკუმენტადაც კი მოგვეჩვენოს, მაშინ როდესაც ის ჩვენთვის წინ გადადგმული ნაბიჯია (ამის უარყოფა არ შეიძლება), მაგრამ მაინც გვარიანად ჩამორჩება დროის მოთხოვნებს.

ინფორმაციის მიღების სფეროში როგორი უფლებებით სარგებლობენ მაგალითად შვედები? 1988 წელს ქვეყნის პრემიერის ი. კარლსონის სამუშაო მაგიდაზე მოხვედრილი 5577 სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტიდან, მხოლოდ 109 იქნა გასაიდუმლოებული, ე. ი. ფართო საზოგადოებრიობისათვის ხელმიუწვდომელი. ნებისმიერ შვედს შეუძლია გაეცნოს კომპიუტერის საშუალებით საკითხთა ფართო წრეს, რომლითაც დაკავებულია პრემიერი; ვთქვათ ყველა ვერსიას ულოფ პალმეს მკვლელობაზე.

შვედეთში პრაქტიკულად შეუზღუდავია საზოგადოებრიობისათვის ინფორმაციის მიღება. ადგილობრივმა ბიუროკრატიამ კარგა ხანია რაც რეგისტრირება გაუკეთა, დანომრა და კომპიუტერის სისტემაში შეიყვანა მონაცემები ყველა მოქალაქეზე. ამ მონაცემთა დიდი უმრავლესობა არ არის გასაიდუმლოებული.

ყოველ შვედს აქვს პერსონალური ათ-ნიშნა საკოდო ნომერი, რომელიც დაბადების წლით იწყება. მაგალითად, თქვენ თუ გსურთ გაეცნოთ მეზობლის პერსონალურ „საქმეს" (მონაცემებს მის შემოსავალზე და გადასახადებზე და ა. შ.), საკმარისია იცოდეთ მისი დაბადების წელი, მორწმუნეობა და მისამართი. ამავე წესით შეგიძლიათ გაეცნოთ მის ჯანმრთელობის მდგომარეობას, დავალიანებას და ა. შ. შვედების აზრით ასეთი სიტუაცია მოსახლეობას აიძულებს იყვნენ პატიოსანნი და არაფრის გამჟღავნების არ ეშინოდეთ. მათი აზრით ეს პირველ რიგში აუცილებელია მაღალი თანამდებობის პირთა გასაკონტროლებლად.

სტოკჰოლმის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, პ. სეიპელი მიიჩნევს, რომ ასეთი ღია და ყველასათვის ხელმისაწვდომი კონტროლის გარეშე „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში გამეფდება ადმინისტრაციული საიდუმლოებანი".

ასეთ ვითარებაშიც კი ბევრი შვედის აზრით ადგილობრივი ჟურნალისტები აქტიურად არ იყენებენ თავიანთ უფლებებს, რათა სრული ინფორმაცია მიიღონ იმაზე, თუ რა ხდება „ზემოთ". ნებისმიერ მოქალაქეს აქვს პრაქტიკულად უფლება პროტესტი განაცხადოს ამა თუ იმ დოკუმენტის გასაიდუმლოების გამო.

მიმდინარე წელს შვედეთის პარლამენტის დღის წესრიგში ერთ-ერთი მთავარი საკითხია სიტყვის თავისუფლების კანონ-პროექტის განხილვა. იგი ვრცელდება რადიოზე, ტელევიზიაზე, ვიდეოპროგრამებზე, ხმის ჩამწერ სისტემებზე.

საინტერესოა, რომ სადღეისოდ შვედეთში მხოლოდ სამი კანონი სარგებლობს საკონსტიტუციო სტატუსით — კანონი მმართველობის ფორმაზე, კანონი ტახტის მემკვიდრეობაზე და კანონი პრესის თავისუფლებაზე. ისიც საყურადღებოა, რომ შვედეთში კონსტიტუციური კანონი მიიღება ორი რიგსდაგის ანალოგიური გადაწყვეტილებით, ხოლო ამ ორ გადაწყვეტილებას ერთმანეთს საპარლამენტო არჩევნები უნდა აშორებდეს. ე. ი. კანონი ძალაში მხოლოდ მას შემდეგ შევა, როდესაც მას ორი სხვადასხვა მოწვევის პარლამენტი დაამტკიცებს. ასეთი წესი უზრუნველყოფს კანონპროექტის გულდასმით შესწავლას და იცავს მას შემდგომში ნაჩქარევი ცვლილებებისაგან.

შვედეთში პირველი კანონი პრესის თავისუფლებაზე ჯერ კიდევ 1766 წელს მიიღეს. დღეს მოქმედი კანონი კი 1949 წელს შევიდა ძალაში.

ინფორმაციის თავისუფლების პრინციპს მკაცრად იცავს კანონი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც; ყოველწლიურად ამერიკის სახელმწიფო დაწესებულებებში საშუალოდ 350 ათასი სხვადასხვა ხასიათის შეკითხვა შედის ამერიკისა და უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებისაგან, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, ჟურნალისტებისაგან, მეცნიერებისაგან, მწერლებისაგან, გაზეთებიდან, გამომცემლობებიდან და უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდანაც კი. ოფიციალური მონაცემებით (ჩვეულებრივ იუსტიციის სამინისტრო იძლევა ასეთ მონაცემებს) გასულ წელს სრულად დააკმაყოფილეს შეკითხვათა 63 პროცენტი, ნაწილობრივ — 30 პროცენტი და მხოლოდ 7 პროცენტზე ითქვა უარი ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. მთელი ეს სამსახური ქვეყნის ბიუჯეტს 72 მლნ. დოლარი უჯდება წლიურად.

რაც შეეხება პრესის თავისუფლებას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ 1791 წელს იქნა მიღებული პირველი შესწორება კონსტიტუციაში. მას შემდეგ ბევრმა ამერიკელმა მეცნიერმა თავისი კვლევის საგნად აქცია მასობრივ ინფორმაციათა პრობლემა. ამერიკის უნივერსიტეტთა ჟურნალისტიკისა და სამართლის ფაკულტეტებზე, სახელმძღვანელოთა რეკომენდებული ცნობილი იურისტების დ. გალმორისა და ჯ. ბერონის მონოგრაფია „მასობრივ კომუნიკაციათა რეგულირების კანონები." მონოგრაფიაში განხილულია ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს 800-მდე გადაწყვეტილება, რომელიც პრესას ეხება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ამერიკელი სამართალმცოდნენი აქტიურად სწავლობენ საკითხს — შეიძლება თუ არა ერთმანეთის შემცვლელებად იქნეს განხილული „სიტყვის თავისუფლების" და „პრესის თავისუფლების" გარანტიები თუ თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი განსაკუთრებული დანიშნულება? ასეთ დებატებს საფუძველი დაუდო ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრმა სტიუარტმა, იელის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციით, სადაც მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში მოცემულ პოლიტიკურ გარანტიათა შორის მხოლოდ „საგამომცემლო ბიზნესია ერთადერთი სფერო, რომელზეც ვრცელდება საკონსტიტუციო დაცვა". აქედან გამომდინარე მისივე დასკვნა — „კონსტიტუციაში მოცემული თავისუფალი პრესის გარანტიების მთავარი მიზანია შექმნას ხელისუფლების მეოთხე შტო, როგორც სამი უმაღლესი ხელისუფლების შემოწმების დამატებითი საშუალება". (სამი ხელისუფლება: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ მართლაც გააუქმა ბევრი კანონი, რომელიც კრძალავდა სხვადასხვა ხასიათის მასალების პუბლიკაციას. მაგ: „ბოროტგანზრახულ კრიტიკას ოფიციალურ პირთა მისამართით". 1971 წელს კი უმაღლესმა სასამართლომ უარყო ნიქსონის ადმინისტრაციის მოთხოვნა აკრძალულიყო ე. წ. „პენტაგონის დოკუმენტების" პუბლიკაცია იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციამ დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა თავისი პოზიცია.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, აქ არ არსებობს სპეციალური კანონები, რომელიც არეგულირებდეს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს. გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელევიზია სარგებლობს საყოველთაო სამოქალაქო უფლებით საჯაროდ გამოთქვას თავისი აზრი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც აინტერესებს ფართო საზოგადოებრიობას.

ამავე დროს პრესის საქმიანობასთან პირდაპირი კავშირი აქვს სხვა მრავალი საერთო ეროვნული კანონის ცალკეულ დებულებებს. ამათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონია 1911 წელს მიღებული კანონი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის თაობაზე. კანონის მეორე ნაწილი უკრძალავს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს სახელმწიფო ჩინოვნიკებისაგან „კონფიდენციალური მასალის არასანქციონირებულ შეგროვებას და პუბლიკაციას".

ბეჭდვითი ორგანოთა თაობაზე ერთიანი კანონი არც გერმანიაში არსებობს. ქვეყნის თითოეულ მხარეში არსებობს თავისი კანონი პრესაზე. ამ კანონებს საფუძვლად უდევს გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლი, სადაც ნათქვამია: „ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება შეუფერხებლივ გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად ან წერილობით და მიიღოს ინფორმაცია. ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია რადიო და ვიზუალური ტექნიკის დახმარებით, ცენზურა არ არსებობს. ხსენებული უფლებები შეზღუდულია მხოლოდ საერთო კანონებით, საკანონმდებლო აქტებით, რომელიც განსაზღვრავს ახალგაზრდობისა და პიროვნების ღირსების დაცვას".

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე ნათელი ხდება თუ რა სერიოზული ხარვეზებითაა წარმოდგენილი ჩვენი პროექტი. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს (შეუიარაღებელი თვალითაც რომ კარგად მოჩანს) შევეხებით. ისე კი ძალზედ დასანანია, რომ რესპუბლიკის კვალიფიციურმა იურისტებმა თავიანთი სერიოზული განხილვისა და სჯა-ბაასის საგნად არ აქციეს დოკუმენტი;

. პირველი თავის მეხუთე მუხლში მოცემულია ნუსხა, რაც ეკრძალებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მაგრამ არაფერია ნათქვამი პასუხისმგებლობის თაობაზე თუკი მაინც გაავრცელეს „ყალბი და შეუმოწმებელი ინფორმაცია", მოახდინეს „საზოგადოების შეგნებული დეზინფორმაცია". გარდა ამისა ვის შეუძლია გამორიცხოს, რომ „შემოწმებული" ინფორმაციაც „ყალბი" გამოდგეს, მით უმეტეს, თუ ეს „შემოწმება" ფორმალური. ხასიათის იქნება, რაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ჩვენს სინამდვილეში. ასევე, ვინ უნდა დაუმტკიცოს გაზეთს, რადიოს, ტელევიზიას, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია „შეგნებული" ან „შეუგნებელი" (როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მოხსნილია) ხასიათის არის? სასამართლომ? თუ ასეა, ეს ზუსტად უნდა იყოს მითითებული კანონში სასჯელის ზომით.

მეორე თავის მერვე მუხლში ნათქვამია, რომ „იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოშვების ნებართვა განმცხადებელმა დროულად არ გამოიყენა, ძალადაკარგულად ითვლება ერთი წლის შემდეგ". თავისუფლად შეიძლება ეს ვადა შემცირდეს 6 თვემდე; საქმე ის გახლავთ, რომ პირველი ვარიანტის სინამდვილეში განმცხადებელი იმ იმედით, რომ ერთი წელი დიდი დროა და ამ პერიოდში ყველა ტექნიკურ პრობლემას ასე თუ ისე გადაჭრის, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე მთავარ საზრუნავად გაიხდის ნებართვის აღებას. ასეთი „გამოუყენებელი" ნებართვების გაცემაზე სათანადო სამსახურებს უამრავი დრო და ენერგია დაეხარჯებათ, ხოლო არასერიოზულ განმცხადებელს კი ხელზე შერჩება საბუთი, რომელსაც იგი ვერ გამოიყენებს. ერთი სიტყვით, გამეორდება არარეალური კოოპერატივების ისტორია, როდესაც ბევრმა „კოოპერატორმა" ჯერ რეგისტრაციაში გატარებას შეალია ენერგია, ხოლო შემდეგ დარწმუნდა, რომ მისი ჩანაფიქრის განხორციელების უნარი მას არ შესწევდა.

იმავე თავის მეცხრე მუხლში ჩამოთვლილია თუ რა არის საჭირო რეგისტრაციაში გატარებისათვის; შეიძლება სავარაუდო აუდიტორიის მოთხოვნა ზედმეტიც იყოს: პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრი ახალგაზრდული გაზეთის თემატიკა ბევრად სცილდება ჩანაფიქრს, მაგრამ უაღრესად პოპულარულია ფართო საზოგადოებრიობაში („კომსომოლსკაია პრავდა"), ასევე ხსენებული მოთხოვნიდან შორს დგას, ვთქვათ, იგივე „ქართული ფილმი" და ა. შ. ამ ნუსხაში მეხუთე პუნქტად ნახსენებია „პერიოდულობა, მოცულობა და დაფინანსების — წყარო"; გაუგებარია — თუ, ვთქვათ გაზეთის პოპულარობამ გამომცემელს საშუალება მისცა რამდენჯერმე გაზარდოს პერიოდულობა და მოცულობა, ან პირიქით, იძულებული შეიქნა შეამციროს, ამ შემთხვევებში ხელახალი რეგისტრაცია საჭირო? შეიძლება ეს ორი მოთხოვნა შერბილდეს, მაგრამ დაემატოს მოთხოვნა ქაღალდის სავარაუდო ფონდზე და საგამომცემლო ბაზაზე. შექმნილ სიტუაციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქაღალდის ფონდის პრობლემა; დღემდის გაუგებარია — ქაღალდის უმწვავესი დეფიციტის სინამდვილეში (მოსალოდნელია, რომ მომავალში ეს დეფიციტი კიდევ უფრო მწვავე ფორმებს მიიღებს) როგორ ახერხებენ ამდენი დასახელების, სხვადასხვა ფორმატის გაზეთების გამოცემას, მაშინ, როდესაც სკოლის სახელმძღვანელოებისათვის არ გვყოფნის ქაღალდი, მიწისქვეშა გადასასვლელებში სისტემატურად ათასგვარი, ხშირად საეჭვო გემოვნებისა და ზნეობრივ-მორალური ღირებულების „გაზეთი" იყიდება „თავისუფალ" ფასებში. ეჭვგარეშეა, რომ ქაღალდის ფონდის ან წყაროს წინასწარ განსაზღვრა ბევრს მოუსპობს სპეკულაცია-მაქინაციების საშუალებას.

მეორე თავის მეჩვიდმეტე მუხლით „ტელე-რადიო მაუწყებლობის რედაქციებს" ევალებათ „გადაცემათა მასალები შეინახონ ეთერში გასვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში". აქ აუცილებელია ერთი არსებითი მნიშვნელობის დეტალის დაზუსტება; კერძოდ, რომელი მასალები იგულისხმება — ის, რომელიც ეთერში წავიდა, თუ რომელიც გამომსვლელის ტექსტის სახით რჩება რედაქციაში? საქმე ის გახლავთ, რომ წლების მანძილზე საქართველოს ტელევიზიის პოლიტიკურ (პირველ რიგში საზღვარგარეთის) რედაქციებში დამკვიდრებული უმკაცრესი, ხშირად აბსურდამდე მისული ცენზურა (მთავარი რედაქტორის მხრიდან), როდესაც საერთაშორისო მიმომხილველებს ევროპის ქალაქების საფუნთუშოების ჩვენებაც კი ეკრძალებოდათ, ხოლო ზოგიერთ მთავარ რედაქტორს „პრავდაც" კი დისიდენტურ ორგანოდ მიაჩნდა, მიმომხილველები გამოსავალს იმაში პოულობდნენ, რომ მთავარ რედაქტორს აბარებდნენ „პოლიტიკურად იდეალურ" ტექსტს, ხოლო გადაცემის ჩაწერის მომენტში ვიზირებულ ტექსტში საჭირო კორექტივები შეჰქონდათ. ბუნებრივია, შემდეგ სტადიაზე გადაცემის „ჩაბარების" მომენტში იქმნებოდა გართულებები, მაგრამ პრინციპულ დეტალთა დაცვა ასე თუ ისე მაინც ხერხდებოდა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დაზუსტება — უნდა შეინახოს ის მასალა, რომელიც ეთერში მიდის. ყველაფერთან ერთად მას ისტორიულ-დოკუმენტური ღირებულებაც აქვს.

იმავე თავის მეთვრამეტე მუხლი „გავრცელების წესსა და ნებართვას" ეხება. აქ ყველაფერია გათვალისწინებული გარდა ავტორის უფლებების; კერძოდ, არაფერია ნათქვამი, რომ ავტორთან შეთანხმების გარეშე არც ერთ მთავარ რედაქტორს არ უნდა ჰქონდეს უფლება შეამციროს ავტორისეული ტექსტი, ამოჭრას იქიდან ადგილები, მოახდინოს მონტაჟი, თვითნებურად შეცვალოს სტატიის სათაური და ა. შ. დღეს, სამწუხაროდ, ასეთი პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული როგორც საქტელერადიოში, ასევე პრესაში.

გაცილებით მოქნილ ფორმულირებას საჭიროებს მესამე თავის ოცდამეერთე მუხლი, სადაც ნათქვამია — „არავის არა აქვს უფლება დაავალდებულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალება გამოაქვეყნოს რედაქციის მიერ უარყოფილი მასალა.

მკითხველთა წერილების გამოქვეყნებისას შეიძლება მათი ტექსტის შემცირება ან რედაქტირება, თუ არ მახინჯდება წერილთა აზრი".

ფორმულირების არსი და მიზანი ნათელია; ზემდგომმა ორგანოებმა ან გარეშე პირებმა ვერ უნდა შესძლონ თავიანთ ვიწრო-პოლიტიკურ ან პირად ინტერესებში გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის ესა თუ ის ორგანო, მაგრამ აქვე იქმნება მეორე, გაცილებით სერიოზული საშიშროება — „რედაქციის მიერ უარყოფილი მასალა", როგორც წესი, რა დასამალია, მთავარი რედაქტორის (შეიძლება რიგითი რედაქტორის) „მიერ უარყოფილი მასალაა". უკანასკნელს კი შეიძლება სუბიექტური მოსაზრებაც ამოძრავებდეს (ამის გამორიცხვა არ შეიძლება). ასე რომ, ცენზურის გაუქმებით სინამდვილეში ხომ არ ვქმნით ამ მუხლით სერიოზულ ბარიერს ინფორმაციის თავისუფლად მიღების გზაზე? ყოველ შემთხვევაში ნებისმიერ მოქალაქეს ან დაწესებულებას აუცილებლივ უნდა ჰქონდეს უფლება საჯაროდ უარყოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა მიერ დაბეჭდილი ან ეთერში გადაცემული მათი მისამართით გამოთქმული კრიტიკა, დაასაბუთოს ასეთი კრიტიკის ან ბრალდების არაობიექტურობა. მართალია ეს მუხლი (ისევე როგორც ბევრი სხვა) სამართლებრივი თვალსაზრისით დახვეწა-დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ ნებისმიერი მოქალაქე, ვისაც საქმე ჰქონია რედაქციასთან, დაგვეთანხმება, რომ ჯერ-ჯერობით სარისკოა რედაქტორის ქცევა საბოლოო ინსტანციად.

რაც შეეხება მკითხველთა (ალბათ ასევე ტელემაყურებელთა) წერილების „შემცირებასა და რედაქტირებას", ეს უკვე პრაქტიკულად განუკითხაობის შეუზღუდავ სარბიელს ბადებს, ვინაიდან „მორცხვი" რეფრენი — „თუ არ მახინჯდება წერილთა აზრი", ფაქტიურად არაფერს ნიშნავს — წადი და უმტკიცე გაჯიუტებულ რედაქტორებს, რომ „აზრი დამახინჯდა". ყოველ შემთხვევაში, ვინ იქნება არბიტრი ასეთი დავის შემთხვევაში? ნუ დავივიწყებთ ჯერ კიდევ რომაელთათვის კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას — კანონი იმიტომაც არის კანონი, რომ აქ ყველაფერი ელემენტარულამდე არაორაზროვანი და ნათელი უნდა იყოს.

ასევე საზოგადოებაში, სადაც ათეული წლების მანძილზე, ყოველ ნაბიჯზე ცინიკურად ითელებოდა პიროვნების ღირსება და

(დასასრული მე-4 გვ.)

საზღვარგარეთ

საკავშირო რეფერენდუმი

დაიწყო საკავშირო რეფერენდუმი, რომელსაც ექვსმა რესპუბლიკამ: ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, საქართველომ, სომხეთმა და მოლდოვამ ბოიკოტი გამოუცხადეს.

მძიმედ მიდის რეფერენდუმი აზერბაიჯანში. სახალხო ფრონტის აზრით, თუ ფალსიფიცირება არ მოხდა, მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტი თუ დაუჭერს მხარს საბჭოთა კავშირში ყოფნას.

ბელორუსიაში ხმის უფლების მქონე მოსახლეობის ორი მესამედი „კავშირის" მომხრეა, ერთი მესამედი წინააღმდეგია. მინსკში გაიმართა რეფერენდუმის საწინააღმდეგო 7-ათასიანი დემონსტრაცია.

უკრაინაში ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი „კავშირის" მომხრე იქნება, 60 პროცენტი კი სუვერენული უკრაინისა. დონბასის ქვანახშირის აუზში ხმები თანაბრად გაიყო. ყირიმის ნახევარკუნძულის მოსახლეობის (მათი დიდი უმეტესობა რუსია) 72 პროცენტმა ხმა მისცა სუვერენულ უკრაინას.

ცენტრისათვის შთამბეჭდავი შედეგებია მიღებული შუა აზიის რესპუბლიკებში, სადაც რეფერენდუმის წინ მოსახლეობას დეფიციტური სასურსათო პროდუქტები მიჰყიდეს.

ყაზახეთში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტმა და თითქმის ყველამ „ერთიან, განუყოფელ საბჭოთა კავშირს" დაუჭირა მხარი. იგივე შედეგი დააფიქსირეს უზბეკეთში, სადაც, როგორც იუწყებიან, დიდი ფალსიფიცირება მოხდა. კერძოდ, ერთ მოქალაქეს ათეულობით ბიულეტენს აძლევდნენ. ანალოგიური სცენარით მიმდინარეობს რეფერენდუმი თურქმენეთსა და ტაჯიკეთში, სადაც თითქოსდა ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი — კავშირის მომხრეა.

მიახლოებითი ცნობებია რუსეთის ფედერაციიდან, სადაც, ალბათ, ელცინს 25-35 პროცენტიანი მხარდაჭერა ექნება. იუწყებიან, რომ მოსკოვის სვერდლოვის რაიონმა და კურილიის კუნძულებმა მას დაუჭირა მხარი.

იმ რესპუბლიკებში, სადაც ბოიკოტია გამოცხადებული, ცენტრი ყოველნაირად ცდილობს საჭირო ხმების მოპოვებას. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება კიშინიოვში და რესპუბლიკის იმ რაიონებში, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა და გაგაუზები ცხოვრობენ. ისინი სამხედროებთან ერთად აგროვებენ ხმებს კავშირისათვის და არც ფალსიფიცირებას ერიდებიან. ასევეა საქართველოშიც, კერძოდ აფხაზეთში, სადაც სეპარატისტები ერთ ამომრჩეველს საშუალებას აძლევენ ხმა მისცეს რამდენიმე საარჩევნო უბანში. არ თაკილობენ ერთ პირზე რამდენიმე ბიულეტენის გაცემასაც.

საერთაშორისო მიმომხილველთა აზრით, პრეზიდენტ გორბაჩოვს რეფერენდუმის თავის სასარგებლოდ დასრულება იმიტომ სჭირდება, რომ შემდეგ მის შედეგებზე დაყრდნობით რეპრესიული პოლიტიკა გაატაროს დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. ამავე დროს იმასაც აღნიშნავენ, რომ გორბაჩოვმა ხმების 60-70 პროცენტიც რომ მოაგროვოს, „ხალხის ნდობის მანდატს" მაინც ვერ მიიღებს და, აქედან გამომდინარე რეფერენდუმის მოწყობით მან დიდი შეცდომა დაუშვა.

გენშერი მოსკოვში

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი საბჭოთა პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს შეხვდება. შეხვედრის დროს განიხილება გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათ შორის აღმოსავლეთ გერმანიის ყოფილი ხელმძღვანელის ერიხ ჰონეკერის (საბჭოთა სამხედროებმა იგი მალულად მოსკოვის ერთ-ერთ ჰოსპიტალში ჩაიყვანეს) სასამართლოში გადაცემის საკითხი, რომელსაც ბრალად ედება იმ გერმანელი ახალგაზრდების დახოცვა, რომლებიც ბერლინის ყოფილ კედელზე გადასვლას ცდილობდნენ. განიხილავენ გერმანიიდან 340 ათასი საბჭოთა ჯარისკაცის სამშობლოში დაბრუნების საკითხს. როგორც ცნობილია, საბჭოთა სამხედროები ამ საკითხს აჭიანურებენ, ცდილობენ გერმანიის მხარეს მეტი ფული გადაახდევინონ. შეხვედრის დღის წესრიგში იქნება აგრეთვე საბჭოთა გერმანელების სამშობლოში დაბრუნების საკითხიც.

სასამართლო პროცესი სოფიაში

სოფიაში მიმდინარე სასამართლო პროცესი ტოდორ ჟივკოვის წინააღმდეგ „ცუდ თეატრს ჰგავს", — ასეთია ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს მიერ მოწყობილი მოსახლეობის გამოკითხვის მონაწილეთა 84 პროცენტის აზრი. ანკეტირებულთაგან ზოგიერთმა პროცესს უწოდა „კარგად გათამაშებული სპექტაკლი", სხვებმა — „კომედია".

ადგილობრივი პრესა სულ უფრო ხშირად აღნიშნავს სკეფსისს, რომლითაც ამ პროცესს აღიქვამენ ქვეყანაში. გამოთქვამენ აზრს, რომ იგი ცუდად არის მომზადებული, რომ განსასჯელთათვის წაყენებული ბრალდებანი მეტისმეტად „წვრილმანია"... თითოეულ განსასჯელს მოელის 20 წლამდე პატიმრობა. მაგრამ გამოკითხვის 510 მონაწილიდან მხოლოდ ნახევარს სწამს, რომ სასამართლო ტ. ჟივკოვის წინააღმდეგ საბრალდებო განაჩენით დამთავრდება.

რიჩარდ ბაუჩერის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა, რომ ერაყში კვლავ არასტაბილური მდგომარეობაა. „ჩვენს ხელთ არსებული უკანასკნელი ინფორმაცია მოწმობს, რომ მთავრობა სულ უფრო მეტ ძალებს იყენებს ჩრდილოეთში ქურთი მოსახლეობის ბინადრობის რაიონებში, რათა ჩაახშოს იქ ფართო მღელვარებანი, — თქვა მან. — გამოსვლები გრძელდება სამხრეთშიც, მაგრამ დღეს ძნელია საერთო სიტუაციის მკაფიო სურათის წარმოდგენა. მთავრობა, კერძოდ, კვლავ იყენებს რესპუბლიკური გვარდიისა და რეგულარული არმიის დიდ ნაწილებს ბასრის რაიონში, აგრეთვე შიიტების წმინდა ქალაქების რაიონში". „ახლა შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მღელვარებანი ბაღდადში მოხდა", — დასძინა ბაუჩერმა.

რამდენიმე სტრიქონით

ამერიკული გაზეთის „თაიმის" აზრით, ელცინისა თუ გორბაჩოვის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხომალდი არათუ არ მიცურავს, არც დგას, არამედ ფსკერზე ეშვება.

„ნიუ-იორკ თაიმსი" აღნიშნავს, რომ შესაძლოა უკეთესი იყოს, თუ გორბაჩოვი დაეთანხმება ელცინს და გადადგება, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ამით არაფერი შეიცვლება. ელცინიც ყოფილი კომპარტიელია და ერთიანი საბჭოეთის გადარჩენას შეეცდება.

ამერიკელ პროფესორს კვანდეტს მიაჩნია, რომ „იორდანიის მეფის ჰუსეინის ჩამოგდების შემდეგ პალესტინელებს ამ ქვეყანაში შეუძლიათ ძალაუფლების ხელში აღება და ფედერაციის შექმნა ღაზის სექტორში და მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე. ასე შეიქმნებოდა ახალი სახელმწიფო, რომლის მოსახლეობის ორი მესამედი პალესტინელი იქნებოდა და მათი პრობლემაც სამუდამოდ გადაიჭრებოდა".

მილანის „ეპოქა" დიდ შეშფოთებას გამოთქვამს და დიდად არის დაინტერესებული ერაყის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ცივილიზაციის ძეგლების ბედით. ურუქის, ურის, ლარსასელაგაბის, ნინევიისა და ბაბილონის ძეგლები გამომშრალი თიხის აგურებით არის შექმნილი და, „ეპოქის" აზრით, დაბომბვის შედეგად ადვილად დაინგრეოდა.

კაიროში დააკავეს ერაყის სასარგებლოდ მოქმედი მორიგი ტერორისტული ჯგუფი, რომელიც სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ავიაკომპანიების წინააღმდეგ მოქმედებას აპირებდნენ. დაკითხვისას გამოირკვა, რომ ბევრი ტერორისტის ოჯახის წევრები ჰუსეინს მძევლებად ჰყოლია აყვანილი და ასე აიძულებდა მათ დანაშაულებრივი მოქმედებისათვის.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია, გადაწყვიტა, ირანს 250 მილიონი დოლარის სესხი მისცეს. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ბანკის გადაწყვეტილება განაპირობა ირანის კონსტრუქციულმა პოზიციამ სპარსეთის ყურეში მიმდინარე სამხედრო ოპერაციების დროს ერაყსა და მრავალეროვნულ ჯარებს შორის.

საბჭოთა კავშირის მრავალ რაიონში მაღაროელთა გაფიცვებით გამოწვეული ქვანახშირის მწვავე ნაკლებობის გამო ხუთი ფოლადჩამომსხმელი ქარხანა დაიხურა უკრაინაში. მაღაროელები მოითხოვენ ხელფასის 2,5-ჯერ გადიდებას, საპენსიო შეღავათების გაუმჯობესებას და პრეზიდენტ გორბაჩოვის გადაყენებას.

სუკის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ ინდუსტრიული ურალის მთების რეგიონში მოსალოდნელია დიდი ეკოლოგიური უბედურება.

საბჭოთა კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს ცნობით ნავთობის მრეწველობა კატასტროფის პირას არის მისული.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა გააფრთხილა ჰუსეინის ადმინისტრაცია, რომ თუ იგი აჯანყებული ქურთებისა და შიიტი მოსახლეობის წინააღმდეგ ავიაციას გამოიყენებს, მაშინ შეერთებული შტატები საპასუხო ღონისძიებებს განახორციელებს.

ალბანეთმა განაცხადა, რომ გაანთავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმარი.

საშიში სამსახური

ჟურნალისტის პროფესია კვლავინდებურად საშიშია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1990 წელს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 30-ზე მეტი რეპორტიორი მოკლეს და 250-ზე მეტი დააპატიმრეს 15 ქვეყანაში. ამ ციფრებს შეიცავს აქ გავრცელებული ამერიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის მორიგი მოხსენება.

1989 წელთან შედარებით, როცა დაიღუპა 53 და დააპატიმრეს 325 ჟურნალისტი, შეიმჩნევა მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება. მაგრამ მთელ მსოფლიოში პრესის თავისუფლების „ძლევამოსილ წინსვლაზე ყვირილი" ჯერ ნაადრევია. ორგანიზაციის მონაცემებით, შარშან ერთიორად გაიზარდა ისეთ შემთხვევათა რიცხვი, როცა რეპორტიორებს არ უშვებდნენ იქ, სადაც დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. 23 ქვეყანაში ხელისუფლებმა შემოიღეს ახალი შეზღუდვები ინფორმაციის გავრცელებაზე.

სან-მარინოს ახალი კაპიტან-რეგენტები

ჩვენს პლანეტაზე ამჟამად არსებული უძველესი რესპუბლიკის სან-მარინოს დიდმა გენერალურმა საბჭომ (პარლამენტმა) აირჩია ახალი კაპიტან-რეგენტები. ესენი არიან სან-მარინოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი 34 წლის დომენიკო ბერნარდინი და 34 წლის ქრისტიანი დემოკრატი კლაუდიო პოდესკი.

1600 წელს მიღებული სან-მარინოს კონსტიტუციის თანახმად კაპიტან-რეგენტებს, რომლებიც ერთად ასრულებენ აპენინის ნახევარკუნძულზე მდებარე ამ მცირე სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს, წელიწადში ორჯერ ირჩევენ ექვსი თვის ვადით.

1 აპრილს დომენიკო ბერნარდინი და კლაუდიო პოდესკი ამ პოსტზე შეცვლიან რობერტო ბუჩისა და ჩეზარე ანტონიოს.

გაჰყავთ ახალი სატელევიზიო არხი

გუშინ სამხრეთ კორეის დედაქალაქში გახსნილ მსოფლიოს 11 ქვეყნის 12 ტელეკომუნიკაციური კომპანიის წარმომადგენელთა შეხვედრაზე განიხილავდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გავლით ოპტიკური ბოჭკოს ტელეკომუნიკაციური კაბელის გაყვანის გეგმებს.

როგორც რენჰაპის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 5-დღიანი შეხვედრის დღის წესრიგში შეტანილია: სამშენებლო პროექტების წინასწარი შემუშავება და მშენებლობის დაფინანსების განაწილების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა, ტრანსეროვნული კაბელის უზრუნველყოფა და რემონტი, რომელიც დაგეგმილია გაიდოს სამხრეთ კორეიდან იაპონიისა და სსრ კავშირის გავლით დასავლეთ ევროპაში. პროექტის მონაწილეთა შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის ფირმები, საბჭოთა კავშირის საწარმოები.

კოსტნერი წლის საუკეთესო რეჟისორი

ცნობილ ამერიკელ კინომსახიობს კევინ კოსტნერს მიენიჭა ამერიკის კინორეჟისორთა გილდიის ჯილდო პირველი სადადგმო ნამუშევრისათვის — ფილმისათვის „ცეკვები მგლებთან". ერთდროულად ნიუ-იორკსა და ჰოლივუდში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე იგი გამოაცხადეს 1991 წლის საუკეთესო რეჟისორად. ფილმს „ცეკვები მგლებთან", რომელიც აშუქებს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის ვეტერანისა და ინდიელთა ტომის სიუს ურთიერთობასა და მეგობრობას, დიდი წარმატებით უჩვენებენ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების კინოთეატრებში.

პრესის აზრით, ამერიკის კინორეჟისორთა გილდიის ჯილდო არა მარტო კოსტნერის, როგორც რეჟისორის, დამსახურების დიდი აღიარებაა — მის პრეტენდენტთა შორის ხომ იყვნენ ამერიკის კინოხელოვნების აღიარებული ოსტატები: ფრენსის ფორდ კოპოლა, მარტინ სკორსეზე, ბარი ლევინსონი — არამედ თავისებური „საფეხურია" საპატიო უმაღლესი კვარცხლბეკისაკენ — „ოსკარის" პრემიისაკენ. უკანასკნელი 42 წლის მანძილზე მხოლოდ სამჯერ არ მიუღიათ „ოსკარები" ამერიკის კინორეჟისორთა გილდიის ჯილდოს მფლობელებს.

მიიღეს პროგრამა და წესდება

ბუქარესტში დამთავრდა ეროვნული ხსნის ფრონტის — რუმინეთის მმართველი პოლიტიკური მოძრაობის კონფერენცია. ორი დღის განხილვის შემდეგ მისმა დელეგატებმა დაამტკიცეს ეროვნული ხსნის ფრონტის პროგრამა და წესდება, ფრონტისა, რომელიც გარდაიქმნა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ პარტიად. არჩეულია ფრონტის ხელმძღვანელი კოლეგია 146 კაცის შემადგენლობით და აღმასრულებელი ბიურო. ეროვნული ხსნის ფრონტის ეროვნულ ლიდერად კვლავ არჩეულია პეტრე რომანი. შეიქმნა ეთიკისა და სადავო საკითხთა კომისია, აგრეთვე ცენტრალური საკონტროლო კომისია. ეროვნული ხსნის ფრონტის ხელმძღვანელობაში შემოღებულია ახალი პოსტი — აღმასრულებელი თავმჯდომარისა, რომელიც კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი ბიუროს საქმიანობას და ეწევა მთელ ორგანიზაციულ მუშაობას პარტიაში. იგი გახდა იონ აურელ სტოიკა, რომელიც ახლახან გადადგა ცხოვრების ხარისხისა და სოციალური დაცვის პრობლემათა სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან. კონვენციის დელეგატთა წინაშე გამოსვლისას, მან აღნიშნა, რომ ეროვნული ხსნის ფრონტი იღვაწებს რეფორმების პროცესის დაჩქარებისათვის, „დიდი პრივატიზაციის" განხორციელებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა გაფართოებისათვის. მან მხარი დაუჭირა ეროვნული თანხმობის მიღწევას, თქვა, რომ თავიდან უნდა აიცილონ „კუდიანებზე ნადირობა" — ყოფილ კომუნისტთა დევნა.

ბეიკერი და ვაშინგტონის ახალი პოლიტიკა

საერთაშორისო მიმომხილველები დიდ ყურადღებას უთმობენ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მოსკოვში ახლახან დასრულებულ ვიზიტს. იგი საბჭოთა პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის გარდა, შეხვდა რუსეთის ფედერაციის ლიდერს ბორის ელცინს და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლებს.

ლონდონის „გარდიანის" აზრით, ბეიკერის ახლანდელი ვიზიტი ვაშინგტონის ახალი პოლიტიკის „პარალელური მიდგომის" გამოხატულებაა, რომელიც ითვალისწინებს დიალოგს როგორც ცენტრთან, ისე რესპუბლიკებთან.

ვაშინგტონის ე. წ. „პარალელური მიდგომის" პოლიტიკის ავტორები არიან სენატორი რობერტ დოული და წარმომადგენელთა პალატის წევრი დანა როხრაბახერი, რომლებმაც კანონპროექტი წარადგინეს კონგრესში დასამტკიცებლად, იგი ითვალისწინებს ამერიკის ფინანსურ დახმარებას უშუალოდ საბჭოთია და იუგოსლავიის იმ რესპუბლიკებისათვის, რომლებიც დემოკრატიულ გარდაქმნებს ახორციელებენ.

დაიხრჩო ათი ჩინელი მებადური

ათი ჩინელი მებადური დაიხრჩო მდინარე იანძის დელტაში მას შემდეგ, რაც ღუზაზე მდგარ მათ ტრალერს დაეჯახა გემი, რომელიც პანამის დროშით ნაოსნობდა. ჰონკონგის კომპანიის კუთვნილი გემი შანხაიში დააკავეს დაჯახების ყველა გარემოების გარკვევისათვის. ადგილობრივმა მებადურთა გაერთიანებამ — ჩაძირული ტრალერის მფლობელმა — ჰონკონგელებს უკვე წარუდგინა სასამართლო სარჩელი 3 მილიონ ამერიკულ დოლარზე. ამას იუწყება დღეს გაზეთი „ჩაინა დეილი".

100 მეტრი სიმაღლიდან გადმოხტა

ყველა ფრინველს როდი ძალუძს ის, რაც მოახერხა ჰონკონგელმა შინაურმა კატამ, სახელად ბარბარამ. იგი გადმოხტა ცათამბჯენის ფანჯრიდან, „გაიფრინა" 100 მეტრი და ცოცხალი გადარჩა.

კარგად არის ცნობილი, რომ ჩამოვარდნის დროს კატები ასწრებენ ჰაერში ისეთნაირად გადატრიალებას, რომ მიწას ოთხივე თათით დაენარცხონ. როგორც ჩანს, ამ ბუნებით მინიჭებულმა უნარმა გადაარჩინა ბარბარა უცილობელ დაღუპვას. თუმცა, ფრენას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. კატა ლითონის სახურავზე დაეცა და დაუშავდა თათები, და როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ამოუვარდა ყბა.

ამ ფრენამ ბარბარასა და მის პატრონს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი. როგორც აღმოჩნდა, ჰონკონგელმა „მფრინავმა" გადააჭარბა ყოველგვარ მიღწევას, აღნიშნულია ცნობილ „გინესის რეკორდების წიგნში". იქ ნათქვამია, რომ 1981 წელს ამერიკის ქალაქ პორტლენდში კატა 62,3 მეტრი სიმაღლიდან ჩავარდა მდინარეში და გადარჩა. კატა ბარბარა პირველ ადგილზე გამოვიდა.

სხვათა შორის, უჩვეულო „ქალის" სახელი კატას დაარქვეს, როცა იგი ჯერ კიდევ კნუტი იყო: პატრონებს სქესი აერიათ. იქნებ, სწორედ ამით დაიწყო კიდეც ყველაფერი...

წერილი რედაქციას

რატომ, თუ ვინ „გააჭიანურა" ექსპერტიზა?

გაზეთ „რესპუბლიკის" რედაქციას აუცილებლად მიაჩნია თავისი პოზიცია გამოთქვას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1991 წლის 15 მარტს გამოქვეყნებული სტატიის — „რამ გამოიწვია ავარია თბილისის ბაგირგზაზე, რატომ „გაჭიანურდა" ექსპერტიზა?" — გამო. ამთავითვე გულახდილად უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატიამ ცოტა არ იყოს ჩვენი გაოცება გამოიწვია, რადგან ფაქტობრივად სტატიის ავტორებიცა და ჩვენც ჩვენი ადრინდელი პუბლიკაციით — „ბაგირგზა: უბედური შემთხვევების გარემოებები" (19 იანვარი, 1991 წელი) ერთსა და იმავეს ვამტკიცებთ, ერთსა და იმავე პოზიციას ვადგავართ, დამნაშავენი კი რატომღაც... ჩვენ გამოვდივართ.

საქმე ისაა, რომ ჩვენ გამოვაქვეყნეთ არა საკუთარი ინფორმაცია, არამედ სიტყვა-სიტყვით დავბეჭდეთ მთავრობის კომისიის დასკვნის ის ნაწილი, რომელიც თბილისში, მთაწმინდის კიდულ გზაზე 1990 წლის 1 ივნისს მომხდარ ავარიას და მის გამომწვევ მიზეზებს ეხებოდა. ვიფიქრეთ, რომ ჯერ ერთი, — საზოგადოებისათვის საერთოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო ეს დოკუმენტი; და მეორეც — დაინტერესებული მკითხველი თავადაც შესძლებდა ბევრ არსებით მომენტში გარკვევას, როცა ამ მასალას გაეცნობოდა. საზოგადოებას ხომ არ მიუღია სრული ინფორმაცია; კერძოდ, რა გვქონდა მხედველობაში? ის, რომ საექსპერტო კომისიის მიერ დროულად ჩატარდა უაღრესად დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი სამუშაოები, ბევრ კითხვას გაეცა პასუხი და გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ ვიღაცის ნებით (თუ ხათრით) საქმე ასე გაჭიანურდა, რატომღაც აქამდე — 1991 წლის იანვრამდე მოიტანეს ყველაფერი. აი, ამან აღგვაშფოთა ჩვენ, და არა იმან, რომ საექსპერტო კომისიისათვის რაიმე ბრალდებები წაგვეყენებინა. ან საიდან აიღეს სტატიის ავტორებმა ეს საოცარი ბრალდება. ჩვენ ხომ თვით საექსპერტო კომისიის მხრიდან საქმის გაჭიანურებაზე სიტყვაც არ დაგვიძრავს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ჭეშმარიტებისაგან ძალიან შორსაა.

ხაზგასმით ვიმეორებთ: მაშინაც, საკითხის განხილვის დროსაც გვჯეროდა, და ახლაც მტკიცედ გვწამს, რომ საექსპერტო კომისიის მუშაობის მეტ-ნაკლებად გაჭიანურებაც (თვით სტატიის ავტორებიც ხომ წერენ ამის თაობაზე) იმისი სცენარით მოხდა, ვისაც საერთოდ სურდა ამ საქმის ასე გაწელვა, იქნებ მიჩქმალვაც კი, პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება. გარკვეულწილად, ეს შეძლეს კიდეც, დიახ, როგორ შეიძლება საექსპერტო კომისიასთან, ექსპერტ-სპეციალისტებთან გვქონდეს რაიმე პრეტენზია მაშინ, როდესაც მთავარი მიზეზი საქმის გაჭიანურებისა სულ სხვაა, და ეს შესანიშნავად იციან სტატიის ავტორებმაც და რედაქციის მუშაკებმაც?

ჩვენს მაშინდელ საგაზეთო პუბლიკაციაში ამიტომაც არ დაგვიძრავს სიტყვა ექსპერტებზე, მთელი სიმწვავით ვაყენებდით მხოლოდ **„იმ ადამიანთა მორალური პასუხისმგებლობისა და ძველ პოსტებზე ყოფნა-არყოფნის საკითხს, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს ახეთი საშინელი კატასტროფის თავიდან აცილება.** (ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვისაც გულისხმობდა რედაქცია).

ამიტომ აქ სრულად უნდა მოვიტანოთ ის ერთადერთი ტექსტი, რომელიც გაზეთმა „რესპუბლიკამ" თავისი კომენტარის სახით დაურთო სამთავრობო კომისიის აქტს:

* * *

„რა შეიძლება ამ შეფასებებს დავუმატოთ?

ალბათ, მხოლოდ ერთი: ექვსი-შვიდი თვის საძიებო არ უნდა იყოს იმ ადამიანთა მორალური პასუხისმგებლობისა და ძველ პოსტებზე ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს ახეთი საშინელი კატასტროფის თავიდან აცილება. სხვა საქმეა ტრაგედიის სამართლებრივი შეფასება, თუ სისხლის სამართლის დანაშაულის დადგენის მხარე; სხვა საქმეა ისიც, რომ თუ ვინმეს დაედებოდა კიდეც ბრალი სისხლის სამართლის დანაშაულში, დღეს — საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ამნისტიის თაობაზე ამ რამდენიმე ხნის წინათ მიღებული კანონის ძალით — ახლა იგი სასჯელიდან განთავისუფლებულიც კი იქნებოდა... დიახ, ეს სხვა საქმეა; მაგრამ — რატომ, ვის სასარგებლოდ გაჭიანურდა ხელოვნურად ყველაფერი ასე?

ვითომ ასე ძნელი იყო თვით რესპუბლიკაში, ან მის ფარგლებს გარეთ კომპეტენტური, მიუკერძოებელი სპეციალისტების მოძიება? რა გვიშლიდა ხელს, საზღვარგარეთიდანაც რომ მოგვეწვია ექსპერტები — რატომ მიგვაჩნია ჩვენი თავი ყოვლისმცოდნედ, ნუთუ ისე ვუფრთხილდებით „მუნდირის" ღირსებას, რომ 18 ადამიანის დაღუპვაც კი არად მიგვაჩნია? (რაა გასაკვირი, თუკი ჩვენივე ექსპერტების დასკვნას რატომღაც ათასგზის ამოწმებენ, არ ენდობიან თუ საქმეს ხელოვნურად აჭიანურებენ?)

და კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი „რატომ":

რატომაა ჩვენი საზოგადოება, მისი ზედა — ე. წ. ხელმძღვანელი ფენები ასე ღარიბი ადამიანებისგან, რომელთაც არ შესწევთ მორალური ძალა თავად გამოიტანონ ერთადერთი სწორი, მართებული დასკვნა თავისი აშკარა შეცდომებიდან, დროზე გაეცალონ საქმეს, რომლისთვისაც მათ ზიანისა და აი, ახეთი ტრაგიკული შედეგების მეტი არაფერი მოაქვთ?

დიდხანს გაგრძელდება ასე? —

აი, ეს არის, რასაც ჩვენ ჩვენის მხრივ ვწერდით:

არის აქ რაიმე გაუგებარი? აი, ის კი ნამდვილად გაუგებარია, როდესაც საექსპერტო კომისიის წევრები ცალსახად წერენ, „ავარია შედეგია მომსახურე პერსონალის უყურადღებობისა და უპასუხისმგებლობისა — ბაგირი გაწყვეტამდე მივიდა უკონტროლობის გამო და ვაგონის დამჭერმა მოწყობილობამ არ იმოქმედა იმიტომ, რომ იგი ბლოკირებული იყო (ანუ წინასწარ დაშლილი იყო იმ მიზნით, რომ არ ემოქმედა) ორივე ვაგონზე", სათანადო დასკვნების გაკეთება კი იმის მხრიდან, ვისაც ეს ევალება, წლობით ჭიანურდება. რა შუაშია აქ ექსპერტიზა? მათ ხომ თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს, და თანაც საკმაოდ მჭიდრო ვადებში.

და ერთიც — მთავარი, არსებითი:

ჩვენც, და ვფიქრობთ, მთელ საზოგადოებრიობასაც სავსებით სწორად, არსებითად მიაჩნია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ამ სტატიის ავტორთა ის სამი კითხვა — სამი მოსაზრება, რომელიც ნათელს ფენს საქმის მთელს არსს. აი, ესაა მთავარი და ეს უნდა გაკეთდეს, — თუნდაც ახლა, ასეთი დიდი დაგვიანებითაც. კი. ჭეშმარიტების დადგენა, როგორც ცნობილია, არასოდეს არაა გვიან. მით უმეტეს, როცა ასეთი საშინელი ტრაგედია ხდება, სამთავრობო კომისიას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია „საბოლოო რედაქციით" თავისი აქტი, დამნაშავენი კი დაუსჯელნი რჩებიან.

ასეთია ჩვენი პოზიცია.

გაზეთი „რესპუბლიკა"

სიტყვა — ყველას

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას; ევროპის საბჭოს; ევროპის პარლამენტს; ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას; ევროპის პარლამენტისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ-ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებსა და პარლამენტებს

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიმართვა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, თანამედროვე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი და ძლიერი ორგანიზაცია, ანტისაოკუპაციო მოძრაობის მთავარი წარმმართველი ძალა, მიმართავს რა უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დემოკრატიული სამყაროს წამყვანი ქვეყნების სახელმწიფოებს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია გააკეთოს შემდეგი განცხადება:

1918 წლის 26 მაისს თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევით ქართველმა ერმა აღიდგინა მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობა, გამოაცხადა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და შექმნა დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული რესპუბლიკა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სრული პოლიტიკური სუვერენიტეტით, ცნო ბევრმა სახელმწიფომ, მათ შორის 1920 წლის 7 მაისს რსფსრ რესპუბლიკამ და ბოლოს — დე ფაქტოდ და დე იურედ ერთა ლიგამ.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს, ქვეყანაში შემოიჭრა შეიარაღებული ძალებით (მე-9 და მე-11 წითელი არმიები), მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია, იარაღის ძალით მოსპო დემოკრატიული და დაამყარა ახალი საბჭოთა წყობილება და შემდგომ განახორციელა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია, რაც გამოიხატა დაპყრობილი ქვეყნის შეყვანით საბჭოთა იმპერიის ე. წ. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების შემადგენლობაში.

ქართველი ერი არ შერიგებია თავისუფლების დაკარგვას და დამპყრობელს უპასუხა 1922 და 1924 წლის აჯანყებებით, რომლებიც სისხლში ჩაახშეს. ოციანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის ფიზიკური განადგურების შემდეგ, ქვეყანაში აუტანელი ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმი დამყარდა და მასობრივი სისხლიანი რეპრესიების პირობებში, მთელი ათწლეულების განმავლობაში, ფიზიკურად გახდა შეუძლებელი, რომ ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობას საყოველთაო ხასიათი მიეღო. მაგრამ როგორც კი საბჭოთა იმპერიაში ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმი ოდნავ შერბილდა, საქართველოში კვლავ იფეთქა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ მიმართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, გაიმართა მრავალათასიანი მანიფესტაციები და გამოსვლები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, და როდესაც ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ 1989 წლის 4-9 აპრილის საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის დროს კულმინაციას მიაღწია, საბჭოთა იმპერიას შეიარაღებული ძალების გამოყენება დასჭირდა უიარაღო მანიფესტანტების წინააღმდეგ ოკუპირებული და ანექსირებული საქართველოს შესანარჩუნებლად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში ემყარება არა ქართველი ერის თავისუფალ ნებას, არამედ საბჭოთა დამპყრობლის საოკუპაციო ჯარებს და რომ ქართველ ერს არ დაუკარგავს თავისუფლების წყურვილი და რომ იგი იბრძვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეამ საქართველოში საყოველთაო მასშტაბი შეიძინა. ამაზე მიუთითებს 1989 წლის 26 მაისი, როდესაც მთელი ერი სრულიად საქართველოს მასშტაბით ქუჩებში გამოვიდა და საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვა.

კრემლის იმპერიამ, დაინახა რა, რომ რეპრესიებითა და ძალადობით ვერ უმკლავდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გადაწყვიტა მსოფლიოს თვალში ამ მოძრაობის დისკრედიტაციით ბოლო მოეღო მისთვის. ამ მიზნის განსახორციელებლად კრემლმა არაერთხელ მოახდინა საქართველოს ტერიტორიაზე არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ინსპირირება ანტიქართული, სისხლისმღვრელ შეტაკებამდე მისული, გამოსვლებისა, რათა თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველი ხალხის ყურადღება და ძალისხმევა მოეწყვიტა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებიდან და გადაესროლა იგი ეთნიკური კონფლიქტების ჭაობში, რათა ქართველი ხალხის პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი ყარაბაღისა და ფერგანის საზარელ სანახაობად ექცია. მაგრამ რამდენჯერაც შეეცადა კრემლი ამ ვერაგული გეგმის განხორციელებას, იმდენჯერ მწარედ გაუცრუვდა იმედი. კერძოდ ანტიქართულ შეიარაღებულ გამოხდომებს ქვემო ქართლში, აფხაზეთსა და შიდა ქართლში, კრემლის ინსპირირებულს, ქართველი ხალხი დაუპირისპირდა მშვიდობიანი ხასიათის პოლიტიკური აქციებით და უპასუხა 1989 წლის 9, 10 11 ივნისის, 1989 წლის 18-29 ივნისის, 1989 წლის 29 ოქტომბერ-5 ნოემბრისა და 1990 წლის 5-21 იანვრის საყოველთაო გამოსვლებითა და გაფიცვებით, რომლებიც მიმდინარეობდა საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. ამ მასობრივი პოლიტიკური გამოსვლების მთავარი ორგანიზატორი და ინიციატორი გახლდათ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. ამ გამოსვლებმა იხსნა ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა დამღუპველ ეთნიკურ ომებში გადაზრდის რეალური საშიშროებისგან და ამრიგად დემოკრატიული მსოფლიოს თვალში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციისგან.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით წარმატებით განხორციელდა ქართველი ახალგაზრდების საპროტესტო აქცია სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების რიგებში სამსახურზე უარის თქმის შესახებ და 1989 წლისა და 1990 წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო გაწვევები საქართველოში მთლიანად ჩაიშალა.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გრძელდება. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით 1991 წლის 23 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში გამართული მრავალათასიანი ანტიიმპერიული მანიფესტაცია საქართველოდან საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანის მოთხოვნით.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე საბჭოთა რუსეთის მიერ შეიარაღებული ძალებით თავდასხმას განიხილავს აგრესიად და საერთაშორისო დანაშაულად, ხოლო საქართველოში სსრ კავშირის ჯარებისა და შეიარაღებული ძალების დისლოცირებისა და საქართველოს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრებში ყოფნის ფაქტს მიიჩნევს 1921 წლის თებერვალში თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მიმართ საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის უშუალო გაგრძელებად, რეალიზებულს უცხო ქვეყნის დამპყრობლის მიერ სუვერენული საქართველოს სრული ოკუპაციითა და ანექსიით. აქედან გამომდინარე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მოცემულ ეტაპზე მიზნად ისახავს საბჭოთა აგრესიის აღკვეთას, რაც ითვალისწინებს ოკუპაციისა და ანექსიის ფუნდამენტური ფაქტებისა და უკლებლივ ყველა შედეგის სრულ ლიკვიდაციას, კონკრეტულად:

ა) საქართველოდან რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე. წ. სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანას.

ბ) საქართველოს ფაქტობრივ გამოსვლას რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე. წ. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების შემადგენლობიდან.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მოგმართავთ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებს, რათა ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის მხარი დაუჭიროს მსოფლიო საზოგადოებრიობამ. ჩვენი თხოვნაა საერთაშორისო სამართალმა საქართველოს განუსაზღვროს საბჭოთა იმპერიის მიერ ოკუპირებული, ანექსირებული და პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფი ქვეყნის სტატუსი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ოფიციალურ დონეზე დაისვას საქართველოს დეოკუპაციისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ქართველი ერის სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისათვის ჰპოვებს თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს მხარდაჭერას. ღმერთი ჰფარავდეს კაცობრიობას!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტი

ირაკლი წერეთელი, თეიმურაზ ხუმბათაშვილი, თორნიკე ფიფია, მამუკა ცაგარელი, ვასილ ხომერიკი, ვალერი კალანდარიშვილი, მერაბ იაშვილი, რობერტ ბირკაია, ავთანდილ ბოგოლაძე, კობა ხაბაზი.

1991 წლის 7 მარტი.

პრესა და კანონი

ხვალინდელი დღის მოთხოვნილებით

(დასასრული).

თითქმის ყოველგვარი კრიტერიუმიც კი გაქრა, ურთულესი ამოცანაა იმის ზუსტი დადგენა თუ რა შემთხვევაში იბღალება ადამიანის „პატივი და ღირსება". არის თუ არა „პატივისა და ღირსების" შელახვა ვთქვათ მთელი საგვარეულოს გაქილიკება? ფიზიკური ნაკლის გამო საჯარო დაცინვა? სხვადასხვა ხასიათის შეურაცხმყოფელი მინიშნებები და სხვა მრავალი, რაც ასე მომრავლდა პირველ რიგში ჩვენს პრესაში ბოლო ხანებში? ამჯერადაც სასამართლოს და მხოლოდ სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ორივე მხარისათვის. აქვე დასაზუსტებელია ჯარიმის (როგორც დემოკრატიულ ქვეყნებშია) მოცულობა (გასულ წელს ინგლისურმა გაზეთმა „სანმა" 2 მლნ. დოლარამდე გადაუხადა ჯარიმის სახით ცნობილ მომღერალს ელტონ ჯონს, ვინაიდან არ ისურვა სასამართლომდე მისულიყო საქმე).

არ შეიძლება სერიოზული ეჭვი არ გამოიწვიოს მესამე თავის ოცდამეოთხე მუხლმა, სადაც ლაპარაკია ჟურნალისტის უფლებაზე „ისარგებლოს ნებისმიერი საარქივო მასალით, საიდუმლო და სპეცფონდით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების ღირსებას".

ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოთა პრაქტიკას რომ მივმართოთ, მაგ. დიდ ბრიტანეთში, ზემოთ უკვე ნახსენები 1911 წელს მიღებული კანონის მეორე განყოფილება ჟურნალისტებს უკრძალავს ინფორმაციების არასანქცირებულ შეკრებას, რომელიც ეხება ქვეყნის თავდაცვას (ე. ი. ეროვნულ უსაფრთხოებას), ან კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც; აქ არსებობს ე. წ. თავდაცვის, ბეჭდვითი სიტყვისა და მაუწყებლობის კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას თავდაცვის მინისტრის თანაშემწე. კომიტეტი რეგულარულად უგზავნის ჟურნალ-გაზეთებსა და ტელერადიოკომპანიებს საკითხთა ნუსხას, რომელთა პუბლიკაციასაც მისი აზრით, შეუძლია ზიანი მოუტანოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კომიტეტის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერი მასალის გამოქვეყნებაზე რედაქტორი ან გამომცემელი ღებულობს და ისვე აგებს პასუხს.

ჩვენში ალბათ ნებისმიერ გასაიდუმლოებულ მასალას, იქნება ეს დაცული ბიბლიოთეკების სპეცფონდებსა თუ ცალკეულ უწყებათა არქივსაცავებში, შეიძლება თავისუფლად ეწოდოს „სახელმწიფო საიდუმლოება". ფართო გაგებით, ყველაფერი, რაც სცილდება კერძო პირის საიდუმლოებას, ავტომატურად იქცევა „სახელმწიფო საიდუმლოებად". რომელ „საიდუმლო" მასალით სარგებლობაზე შეიძლება ლაპარაკი ქვეყანაში, სადაც „სახელმწიფო საიდუმლოებაა" სამხედრო ბიუჯეტით დაწყებული და საგარეო ვალით დამთავრებული ყველაფერი, რომ აღარაფერი ვთქვათ მთავრობის საქმიანობაზე.

რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ცალკეულ უწყებათა გატაცებას ყველაფრის გასაიდუმლოებით, მიზანშეწონილი იქნებოდა ამჯერადაც მიგვემართა მთელ რიგ დემოკრატიულ სახელმწიფოთა პრაქტიკისათვის და მიგვენდო პარლამენტისათვის სათანადო განხილვისა და მსჯელობის შემდეგ დაამტკიცოს იმ დოკუმენტთა ნუსხა, რომელთა გასაიდუმლოებასაც უდავოდ მოითხოვს ქვეყნის ეროვნული ინტერესები. ამავე დროს ყოველი კატეგორიის გასაიდუმლოებული მასალისათვის ცალკე უნდა დადგინდეს გასაიდუმლოების ვადა.

ასევე უადგილოდ გამოიყურება იქვე პიროვნების ღირსების ამსახველ საარქივო ან გასაიდუმლოებული მასალის დამალვა; ცნობილია, რომ თავის დროზე ნებისმიერ მაღალ თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატზე იგზავნებოდა სათანადო ორგანოში შეკითხვა და თუ მასზე „კომპრმატი" „მოვიდოდა", მისი კანდიდატურა იხსნებოდა. იმ დროს ასეთი „კომპრომატის" მსხვერპლი ადვილად შეიძლება წესიერი და პატიოსანი ადამიანიც გამხდარიყო, მაგრამ დღეს, როდესაც დემოკრატია პირველ ნაბიჯებს დგამს, როდესაც ეროვნულ მოძრაობას ათასი ჯურის გარეწარი მიეტმასნა, როდესაც ბევრნი მიტინგებზე „მგზნებარე" გამოსვლებით იქმნიან რეპუტაციას და ყველაფერს აკეთებენ, რომ თავიანთი გუშინდელი სახე დამალონ, ასეთ ადამიანთა წარსულის გამოაშკარავება ჩაითვლება თუ არა, რომ „საქმე ეხება პიროვნების ღირსებას?" წმინდა იურიდიული თვალსაზრისით ალბათ ჩაითვლება. ე. ი. ჟურნალისტს ან რედაქციას უფლება არა აქვს ასეთი მასალა გამოაქვეყნოს? თუ იგივე ამერიკის შეერთებულ შტატებში ან დასავლეთ ევროპაში ამა თუ იმ თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატს, ათი წლის წინ ფსიქიატრთან, ნარკოლოგთან ან ვენეროლოგთან ვიზიტსაც არ აპატიებს პრესა, ეს ადამიანის უფლების შებღალვაა? არავის არ აინტერესებდა (ყოველ შემთხვევაში პრესას). თავის დროზე სერ პროფიუმის სასიყვარულო ისტორიები, სანამ ის რიგითი პარლამენტარი იყო, მაგრამ როგორც კი დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი გახდა „უტაქტო" ჟურნალისტებმა უმალ ამოქექეს მისი ძველი ცოდვები და როგორც მალე გაირკვა, არც თუ უსაფუძვლოდ — პროფიუმომ თავისი არ მოიშალა და სულ მალე ცნობილი „მანეკენშიცის" — საბჭოთა აგენტის ანკესზე წამოეგო, რასაც მისი გადადგომა და პოლიტიკური სკანდალი მოჰყვა. ამიტომ კიდევ ერთხელ დაფიქრებაა საჭირო, — სანამ ჟურნალისტს აუკრძალავთ პიროვნების (პირველ რიგში მაღალი თანამდებობის პირთა ან ასეთ თანამდებობაზე პრეტენდენტთა) წარსულში ჩახედვას.

მეოთხე თავის ოცდამეცხრე მუხლი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების შემთხვევებს აზუსტებს; აქ ნაცვლად ფორმულირებისა — „სიტყვასიტყვით იმეორებენ სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს", აჯობებდა — „სრულად, შეუმოკლებლად და შეუცვლელად იმეორებენ..." ხომ შეიძლება გაზეთმა სიტყვასიტყვით გაიმეოროს" გამოსვლის ვთქვათ ერთი, თუნდაც დიდი ნაწილი და ეს სრულიად არ ასახავდეს მთელი გამოსვლის არსს? აქაც რედაქციის ნებისმიერი „თვითშემოქმედება" ან ავტორთან უნდა იყოს შეთანხმებული, ან აზრის დამახინჯებისა და არასრულად გადმოცემის შემთხვევაში სერიოზული პასუხისმგებლობა უნდა დადგინდეს.

საერთოდ გაუგებარია პროექტის მეექვსე თავში რეკომენდებული „კანონის დაცვისა და განხორციელების ზედამხედველობის კომისია"; განსაკუთრებით კი იმ შემადგენლობით, როგორც ეს ტექსტშია მოცემული. საეჭვოა, რომ კომისიის წევრთა არჩევის შემოთავაზებული წესით მასში მოხვდეს იურისტი, ურომლისოდაც ნებისმიერი „საზედამხედველო" კომისია, მეტი რომ არა ვთქვათ, არაკომპეტენტური იქნება. არა და, კომისიას დიდი უფლებები ექნება — „კანონის დაცვა და განხორციელების კონტროლი". გაუგებარია გადაწყვეტილებას თვითონ კომისია ღებულობს თუ სასამართლოს გადასცემს საქმეს? რომელ საქმეს გადასცემს სასამართლოს და რომელს არა? შეუძლია მოქალაქეს კომისიის გვერდის ავლით მიმართოს სასამართლოს? კომისიის წევრი ჟურნალისტები იქნებიან ბოლომდე პრინციპულნი და ობიექტურნი მათი კოლეგებისა და ორგანოთა მიმართ, სადაც ადრე მსახურობდნენ და სადაც უნდა დაბრუნდნენ (ნაწილი მაინც) ხუთი წლის შემდეგ? ასეთი კითხვები უფრო მეტი შეიძლება დაგვებადოს. ნებისმიერ შემთხვევაში ცალკე განხილვის საგნად უნდა იქცეს კომისიის წესდება და უფლება-მოვალეობა.

თუ კვლავ დასავლეთის პრაქტიკას მივმართავთ დიდ ბრიტანეთში არსებობს დაახლოებით ანალოგიური ხასიათის კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, იურისტი დევიდ კელკატონი. კომიტეტი სულ შვიდი წევრისაგან შედგება.

და ბოლოს, რაკი განსახილველი პროექტის ერთ-ერთი მთავარი ღერძი ინფორმაციაზე პიროვნების უფლების უზრუნველყოფაა, ურიგო არ იქნებოდა დამატებოდა მუხლი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ აკრძალავდა უცხოური რადიოსადგურების გადაცემათა ჩახშობებს და დააკანონებდა მოქალაქეთა უფლებას მიიღონ ნებისმიერი ქვეყნისა და ტელეკომპანიის პროგრამები. გარდა ამისა, ჩვენი ღრმა რწმენით გაცილებით რელიეფურად და ცალსახად უნდა გამოიკვეთოს ავტორის უფლებები. შეიძლება ცალკე მუხლში იქნეს თავმოყრილი ეს უფლებები.

სოსო ცინცაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა ცენტრის პოლიტოლოგიის განყოფილების გამგე.

საკუთარ სახლში

მღერის ჩიქოვანების ოჯახი

80 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში მოკრძალებულად შემოვიდა და დამკვიდრდა ჩიქოვანების მომღერალი ოჯახი მდიდარი შემოქმედებითა და უბადლო საშემსრულებლო ხელოვნებით, საყოველთაო სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

ეს მრავალშვილიანი ოჯახი უკვე მესამე ათეული წელია გვანიჭებს უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას, მისი სახელი მრავალფეროვანი რეპერტუარითა და არტისტული საშემსრულებლო ოსტატობით დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. ოფიციალურმა პრესამ, კულტურისა და ხელოვნების სამყარომ ჩიქოვანების ოჯახი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ერთ-ერთ საუკეთესო თვითმოქმედ კოლექტივად აღიარა და საოჯახო ანსამბლების ტრადიციების ბრწყინვალე გამგრძელებელი უწოდა.

იგი განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და შემართებით უწევს პროპაგანდას ეროვნულ-საოჯახო მუზიცირების კულტურას ყველგან, სადაც კი მათ უწევთ ოფიციალური თუ არაოფიციალური გამოსვლები. ეროვნული ფოლკლორის, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პარალელურად მათ რეპერტუარში საბჭოთა და დასავლეთ ევროპის კლასიკოს კომპოზიტორთა საგუნდო-მუსიკალური შემოქმედების ნიმუშები (ალიაბიევი, კიუი, პფეილი, მოცარტი, ვებერი და სხვა).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ რთული ფაქტურის კლასიკური საგუნდო ნაწარმოებების დაძლევა და მათი პროფესიულ დონეზე შესრულებაა სწორედ ჩიქოვანების ოჯახის დიდი დამსახურება, მას საოჯახო ანსამბლების ისტორიაში პრეცენდენტი არ გააჩნია, მინიჭებული აქვთ მრავალი ფესტივალის ოქროს მედლები და საპატიო დიპლომები.

მათს შემოქმედებას მიეძღვნა არაერთი გადაცემა, გამოკვლევა და პუბლიკაცია როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ პრესასა თუ ტელევიზიაში. ფირმა „მელოდიამ" მასობრივი ტირაჟით გამოსცა ფირფიტა-გიგანტი „მღერის ჩიქოვანების ოჯახი", რომელიც კულტურული გაცვლის წესით გავრცელდა ბევრ საზღვარგარეთულ ქვეყანაში. საკავშირო ტელევიზიამ გადაიღო სპეციალური ფილმი „მღერის ჩიქოვანების ოჯახი", საკავშირო ჟურნალმა „მუზიკალნაია ჟიზნმა" სპეციალური რუბრიკა შემოიღო ამ ოჯახის მაგალითზე და ვრცელი წერილი უძღვნა მას. საკავშირო ჟურნალმა „კლუბი ი ხუდოჟესტვენაია სამოდეიატელნოსტმა" ვრცელ წერილთან ერთად გამოსცა ელასტიკური ფირფიტა, რომელიც გავრცელდა 120.000 ტირაჟით. ოჯახი ბევრი რეგიონალური, საკავშირო თუ საერთაშორისო საქველმოქმედო ღონისძიების მონაწილეა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გრამფირფიტების ფირმამ „სონარტმა" გამოსცა ქართული ხალხური ფოლკლორული სიმღერების ანთოლოგია, სადაც შეტანილია რამდენიმე სიმღერა ჩიქოვანების ოჯახის სასიმღერო რეპერტუარიდან. უფრო ადრე ჩიქოვანების მუსიკალური ოჯახი დაჯილდოვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუსიკოსთა კონკურსის პირველი და მეორე ხარისხის სპეციალური პრიზებით, (კონკურსი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ერთობლივი შეთანხმებით მოეწყო საქართველოში). ჩიქოვანების ოჯახის შემოქმედებით შთაგონებულმა ქართველმა პოეტებმა მრავალი ლექსი უძღვნეს მას (ა. ბეგაშვილი, აკაკი გეწაძე, ოთარ შალამბერიძე, რუსი პოეტი ნ. სუსლოვიჩი და სხვანი). ჩიქოვანების ოჯახს აქვს საკუთარი რეპერტუარიც. უაღრესად პოპულარული და მაღალი პროფესიული კულტურით გამოირჩევა ბატონ ზურაბის სიმღერები: „ნანა", „დაღამდება ტყეში ოდეს" (გალაკტიონის ლექსზე), „იმერეთი", „სიმღერა ბაღდათზე", „უსიყვარულოდ", აგრეთვე გიგლა ჩიქოვანის სიმღერა „მეგობრის ხსოვნა" ანა კალანდაძის ლექსზე და სხვა.

ძნელია მოკლე ინფორმაციაში ჩამოთვალო ის დიდი ღვაწლი, რომელიც ჩიქოვანების მუსიკალურმა შემოქმედებამ დასდო ჩვენს ეროვნულ კულტურას.

ერის ღირსების ამგვარი წარმოჩენა, მისი მშრომელი, ნიჭიერი და შემართებული ხალხის სულიერი და ყოფითი კულტურის დიდი პოტენციალის ჩვენება ერთი ოჯახის მაგალითზე ამ ოჯახის თითოეული წევრის ერის წინაშე ვალდებულების გრძნობის შესანიშნავი გამოვლინებაა.

გულწრფელად და ერთგულად ემსახურება ჩიქოვანების ოჯახი ქართველ ერს ყოველთვის, როცა მას მძიმე, განსაცდელის ჟამი უდგას. სტიქიური უბედურების დროს იგი ხშირად მართავს საქველმოქმედო კონცერტებს და რეალურ დახმარებას უწევს დაზარალებულ და მრავალშვილიან ოჯახებს.

ვითვალისწინებთ რა ამ შესანიშნავი ოჯახის დამსახურებას ეროვნული მუსიკალური თვითმყოფადი კულტურის განვითარებაში, მის დიდ ესთეტიკურ და აღმზრდელობითს მნიშვნელობას, ვშუამდგომლობთ, რათა ოჯახის 30 წლის მოღვაწეობის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადოდ აღნიშნოს საერთოდ ჩიქოვანების მუსიკალური ოჯახის და კერძოდ მისი ხელმძღვანელების ბ-ნ ზურაბ ჩიქოვანისა და ქ-ნ იფიგენია შარაშიძის დამსახურება. ცნობისათვის დავსძენთ, რომ ადრე ასეთ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლისა (მოსკოვი) და საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობებმა (ამ უკანასკნელის წევრი გახლავთ ბატონი ზურაბ ჩიქოვანი), შესაბამისმა ინსტანციებმაც. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს შუამდგომლობას ყურადღებას არ მოაკლებთ, განიხილავთ და დადებითად გადაწყვეტთ. ეს იქნება ქართული ეროვნული თვითმყოფადი მუსიკალური კულტურის აღმავლობის კიდევ ერთი დიდი სტიმული და საოჯახო მუზიცირების კულტურისადმი ეროვნული ხელისუფლების ყურადღების მკაფიო მაგალითი.

პატივისცემით
ზურაბ ანჯაფარიძე,
სსრ კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი,
გივი მუნჯიშვილი,
საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო კაპელის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი,
მაია თომაძე,
საქართველოს სახალხო არტისტი,
ოთარ გორდელი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი,
შალვა დავითაშვილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი,
აპოლონ ცანავა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აკაკის საიუბილეოდ

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა გადაწყვიტა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავად მოაწყოს კონკურსი დიდი ქართველი პოეტის ლირიკული შედევრის — „განთიადის" საუკეთესო წაკითხვაზე.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ გიგა ლორთქიფანიძემ განაცხადა: „ერთი ლექსის დეკლამაციის კონკურსი" გვინდა ტრადიციად ვაქციოთ და, ალბათ, სიმბოლურია, რომ პირველსავე კონკურსში ქართული პოეზიის თაყვანისმცემელთა წინაშე აკაკის ლირიკული გენიით შთაგონებული ბრწყინვალე ნიმუშით წარვსდგებით.

კონკურსი მაისის შუა რიცხვებში გაიმართება აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში. შესაძლოა, მოყვარული მსახიობები გულნატკენი დაგვრჩნენ, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ კონკურსში მხოლოდ პროფესიონალმა მსახიობებმა მიიღონ მონაწილეობა, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმაც. სხვათა შორის, კონკურსს უთუოდ თავისებურ ელფერს ისიც შესძენს, რომ მიზანშეწონილად მივიჩნიოთ ამ დღეს მსახიობის სახლის თაღებქვეშ „განთიადის" თარგმანებიც ჟღერდეს. ამიტომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არაქართული თეატრების მსახიობებსაც ვიწვევთ.

აღსანიშნავია, რომ გარდა ასეთ შემთხვევებში მიღებული ტრადიციული პრემიებისა და ჯილდოებისა, განზრახული გვაქვს კონკურსში გამარჯვებულმა მსახიობებმა მონაწილეობა მიიღონ აკაკისადმი მიძღვნილ დიდ საზეიმო კონცერტში, რომელიც ჩვენი საზოგადოების თაოსნობით გაიმართება საჩხერეში.

რაც შეეხება ჟიურის, იმედი გვაქვს ავტორიტეტული ჟიურის ობიექტურობისა, რომელიც ცნობილი მსახიობების, რეჟისორების, ლიტერატორებისაგან შედგება და რომლის თავმჯდომარეც გახლავთ თეატრალური ინსტიტუტის ფილოლოგიის კათედრის გამგე ზაზა აბზიანიძე.

ბოლოს დავძენდი, რომ ჩემთვის ამ კონკურსის მნიშვნელობა სცილდება ჩვეულებრივი საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებს. „განთიადის" ხელახალი აღქმებით ხელახლა გავითავისებთ ამ ლექსში მოქცეულ ტკივილებსა და იმედებს, მის მომაჯადოებელ მხატვრულ სამყაროს და მელოდიურობას — ყოველივეს, რასაც აკაკის გენია ჰქვია.

აქვე მინდა მოგახსენოთ იმ დანარჩენ ღონისძიებებზე, რომლებსაც აკაკის საიუბილეოდ ვაპირებთ. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თეატრალური პროპაგანდის ცენტრს განზრახული აქვს მოამზადოს სანახაობა „ჩემო ხატია სამშობლო..." (აკაკი წერეთლის პატრიოტული ნაწარმოების მიხედვით) ქართული სცენის პოპულარული მსახიობების მონაწილეობით. პირველი წარმოდგენა გაიმართება სხვიტორში. შემდგომ იგი გამეორდება სხვადასხვა ქალაქებში და საქართველოს ცნობილ ისტორიულ ძეგლებთან ღია ცის ქვეშ.

მომზადდება მოძრავი გამოფენა „აკაკი და ქართული თეატრი". მოეწყობა ლექციების ციკლი დრამატული თეატრების მსახიობებისა და მუსიკოსების მონაწილეობით.

საიუბილეო დღეებში თბილისში უჩვენებენ რესპუბლიკის თეატრებში აკაკის ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს.

საქინფორმი.

ყურადღება: კონკურსია!

დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის საიუბილეოდ საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი აცხადებს კონკურსს პოეტის ლირიკული შედევრის „განთიადის" საუკეთესო წაკითხვაზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესიონალ მსახიობებს (ლექსი „განთიადის" კითხვა დასაშვებია თარგმანშიც) და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს.

საკონკურსო პროგრამაში კონკურსის ყოველ მონაწილეს უნდა ჰქონდეს „განთიადი" და პოეტის ნებისმიერი ნაწარმოები (გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მისი ჟიურის თავმჯდომარის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება რეპერტუარის აღნიშვნით ა. წ. 15 მაისამდე საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირში (გიორგი ლეონიძის 2-ა, ტელ: 93-67-55, 98-75-32).

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 500 მანეთი,
ერთი მეორე პრემია — 400 მანეთი,
ერთი მესამე პრემია — 300 მანეთი.
სამი წამახალისებელი პრემია თითოეული — 150 მანეთი.

კონკურსი გაიმართება 20 მაისს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში დილის 11 საათზე.

საქინფორმი

ქველმოქმედება

დედაქალაქის დედათა მონასტერი

ღვთის ნებითა და შეწევნით და მისი უწმინდესობისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით სადიდებლად უფლისა გასული წლის ოქტომბერში ე. წ. დარეჯანის სასახლის ტერიტორიაზე გაიხსნა ფერისცვალების დედათა მონასტერი. საქართველოში მონასტერი მუდამ იჩენდა მზრუნველობას გასაჭირში მყოფი ადამიანებისადმი. ახლადშექმნილი სავანე შეეცდება ნუგეშისცემა და მზრუნველობა არ მოაკლოს სულიერსა და ხორციელ განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს, ამისათვის მას დასჭირდება შენობები სნეულთა და მიუსაფართა თავშესაფრებისათვის და თანხები სხვადასხვა სახის დახმარების გაწევისათვის. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო საქმიანობაში და დახმარება აღმოუჩინოს ბედის უკუღმართობით გატანჯულ ადამიანებს, შეუძლიათ გაიღონ შესაწირავი ფერისცვალების დედათა მონასტრის ანგარიშზე:

ისნის რაიონის ბინსოცბანკის ანგარიში №№ 000164401 სალაროს №№ 3524; ანგარიში №№ 122144

სპორტი

მეორე ჩემპიონატის პირველი ტური

შაბათს, 16 მარტს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე დაიწყო მეორე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, როგორც გაუწყეთ, წლევანდელი გათამაშება ახლებური სისტემით წარიმართება. საგაზაფხულო პირველობა ერთ წრედ ჩატარდება და 25 ივნისამდე გაგრძელდება. უმაღლეს ჯგუფში წლეულს 20 გუნდი ასპარეზობს.

16 მარტს გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები. ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე პირველ ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებული თბილისის „იბერია" ჯგუფის დებიუტანტ გურჯაანის „ალაზანს" მასპინძლობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას მთელი შეხვედრის განმავლობაში თბილისელები ფლობდნენ, უკვე მე-6 წუთზე კაჰარავა-ჯიშკარიან-ქეცბაიას ოსტატურად გათამაშებული მრავალსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დამთავრდა, ვინც მატჩს ადევნებდა თვალს, დაგვეთანხმება, რომ ქეცბაიას მიერ თავით გატანილი ეს ბურთი ნებისმიერი რანგის პირველობას დაამშვენებდა. მეორე გოლი მე-20 წუთზე გავიდა. ახლო მანძილიდან კაჰარავას არ გასჭირვებია ანგარიშში სხვაობა ორამდე გაეზარდა. მატჩის საბოლოო შედეგს წერტილი შეხვედრის 25-ე წუთზე გოგიჩაიშვილმა დაუსვა. ჯიშკარიანთან უხეში თამაშისთვის მსაჯმა მ. ჰელიძემ თერთმეტმეტრიანი დანიშნა, გოგიჩაიშვილის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. მეორე ნახევარში სურათი არ შეცვლილა, მასპინძელთა მასირებულ შეტევებს „ალაზანმა" კონტრთამაშით უპასუხა, ამ ეპიზოდებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თეთრაული, რომელმაც საკმაო თავსატეხი გაუჩინა „იბერიელთა" მცველებს. მიუხედავად არაერთი სახიფათო შეტევისა, ანგარიშში ცვლილება აღარ მომხდარა — 3:0. ასე გაიმარჯვეს თბილისელებმა და თავის აქტივში პირველი 3 ქულა ჩაიწერეს.

გუნდებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: „იბერია" — ჩხეიძე, არზიანი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, ნემსაძე, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჰარავა, ჯამარაული (ყაველაშვილი), გოგიჩაიშვილი (ინალიშვილი).

„ალაზანი" — პუნიაშვილი, შუბითიძე, კვლიშვილი, წიქარიშვილი, ძნელაძე, პოზოიანი (ბარნაბიშვილი), ბაწაშვილი, ზაალიშვილი სოლოღაშვილი, თეთრაული, კობახიძე.

პირველ ტურში ყველაზე პოპულარული ანგარიში იყო 3:0. ამ შედეგით დამთავრდა ოთხი შეხვედრა. ბათუმის „ბათუმმა" ამ ანგარიშით დაამარცხა ხაშურის „ივერია", ასეთივე შედეგით ზუგდიდის „ოდიშმა" სძლია გალის „მზიურს", სამი „მშრალი" ბურთი გაიტანა ხობის „კოლხეთმა" მასპინძლების, გრის „დილას" კარში.

ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ლანჩხუთის „გურია"-ზესტაფონის „მარგვეთი" — 3:1, რუსთავის „გორდა"-ვანის „სულორი" — 2:0, „ქუთაისი"-ოჩამჩირის „ამირანი" — 2:0, ფოთის „კოლხეთი-1913"-თბილისის „შევარდენი-1906" — 3:1, სოხუმის „ცხუმი"-წყალტუბოს „სამგურალი — 0:0, ოზურგეთის „მერცხალი"-სამტრედიის „სანავარდო" — 1:2.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტური 20 და 21 მარტს გაიმართება. ამ ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისში მოეწყობა 21 მარტს — პირველ ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებული თბილისის „იბერია" რესპუბლიკის შარშანდელი თასის მფლობელს ლანჩხუთის „გურიას" უმასპინძლებს.

• • •

სურათებზე: მეორე ეროვნული ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. მატჩის მომენტი.

ვარლამ ბენზიურის ფოტოები.

ბირჟა

საქართველოს ბიზნესმენებო!

ახალი პერსპექტივები გელოდებათ თქვენ, ხელიდან ნუ გაუშვებთ მოგების შანსს

გაცნობებთ, რომ იქმნება სააქციო საზოგადოება საქართველოს სასაქონლო-სანედლეულო და საფონდო ბირჟა, რომელიც თქვენთვის იქნება:

— საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ნედლეულით, მასალებით, სურსათით, სახალხო მოხმარების საგნებით ვაჭრობის მარჯვე ორგანიზატორი.

— ფასიანი ქაღალდების თავისუფალი ბაზარი, ფულის დაბანდებისა და მოგების მიღების საუკეთესო საშუალება.

— საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების ფირმებთან ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებების დადების ერთგული შუამავალი, რომლის დახმარებითაც შეგიძლიათ აწარმოოთ მომგებიანი კომერცია.

— ურთიერთშეხვედრის ცენტრი, სადაც მოგების მიღება შეუძლია ყველას — საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

— ურთიერთგარიგების ხელსაყრელი ცენტრი, სადაც საბირჟო ოპერაციები ხორციელდება მზა საქონელზეც და ჯერ დაუმზადებელ პროდუქციაზეც.

— კომერციული ინფორმაციის მთელი ბანკი, სადაც თავმოყრილია საქონლისა და ფასიანი ქაღალდების საბაზრო კონიუნქტურის მასალები.

ბირჟის საწესდებო ფონდის საწყისი ოდენობაა 5 მილიონი მანეთი, რომელიც დაყოფილია 100 ათასი მანეთის ნომინალური ღირებულების 48 და 10 ათასი მანეთის ნომინალური ღირებულების 20 აქციად.

ბირჟის აქციონერობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა დამფუძნებელ კონფერენციამდე — 1991 წლის 25 აპრილამდე, უნდა შეიტანონ აქციის ნომინალური ღირებულების მცირე ნაწილი — 30 პროცენტი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკში, ანგარიში №741000012.

ბირჟის დამფუძნებლები და პირველი აქციონერები არიან:

გაერთიანება „საქმსუბუქმომარაგებაბითუმგასაღება";

თბილისის სააქციო კომერციული ბანკი „კრედიკა";

მ. კოსტავას საზოგადოებასთან არსებული ასოციაცია „თბილისი-90";

ასოციაცია „კავკასია";

საქართველო-გერმანიის ერთობლივი ფირმა „თბილისი-ლინკი";

გაერთიანება „საქმსუბუქმომარაგებაბითუმგასაღების" ქსოვილებით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის საწარმოები;

თბილისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანება;

თელავის სამკერვალო ფაბრიკა;

თბილისის სამკერვალო-საწარმოო კოოპერატივი „ეკა";

თბილისის მრავალდარგოვანი სამრეწველო კომერციული ფირმა „პროგრესი";

ღია ხელმოწერა ბირჟის აქციებზე მიმდინარეობს შემდეგ მისამართზე: თბილისი — 380020, სამგორის I ჩიხი № 3

აქციების შეძენის ბოლო ვადაა 1991 წლის 20 აპრილი.

ბირჟის საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობს ყოველდღე 10-დან 18 საათამდე, გარდა შაბათისა და კვირისა.

ტელეფონი 71-75-86.
ტელექსი: 212203 USHBA US
ფაქსი: 716764

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირთან არსებული სარეკლამო-საგამომცემლო სააგენტო „ვიზა"

ჩვენს გაზეთს სჭირდება კვალიფიციური მბეჭდავი მემანქანე. მსურველებს ვთხოვთ მოგვაკითხონ მისამართით: მერაბ კოსტავას ქ. № 14. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია. ტელეფონი: 99-66-10.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
შეკვეთა [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა